# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 14 ოქტომბერი 2003 №194 (1965) | ფასი 50 თეთრი


# არ ცოდნა ცოდვაა!
## ქართულ ფეხბურთს ტრეპანაცია სჭირდება



რუსეთი — საქართველო 3:1. ამას ველოდით

40 ევროპული ქვეყნისთვის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დასრულდა. მათგან ოცდაათისთვის წარუმატებლად, ათისთვის კი პორტუგალიის ბილეთების შეკვეთით.

ათნიც ბრძოლას პლეი ოფში აგრძელებენ, რომლის წილისყრაც გუშინ მოეწყო.

საქართველო, როგორც ყოველთვის, იმ ოცდაათ ქვეყანას შორის მოხვდა, რომლებმაც სხვებზე ადრე და წარუმატებლად დაასრულეს შესარჩევი თამაშები. მაგრამ ამ ოცდაათ გუნდს შორისაც არის დიდი განსხვავება — ზოგმა ბოლო წუთამდე იბრძოლა, ზოგი შუა გზაში დანებდა, ზოგიც თავიდანვე განწირული იყო. საქართველო, როგორც ყოველთვის, თავიდანვე განწირულთა შორის გახლდათ.

მათემატიკური ფორმულების მოშველიებით, ნაკრებისა და ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები ამტკიცებენ, რომ საქართველო ბოლოსწინა ტურამდე იბრძოდა და რომ არა ალბანეთში მარცხი, ბრძოლას ბოლო წამამდე შემორჩებოდა და მერე, იმ ბოლო წამს, მოსკოვში, ეგებ...

სისულელეა, ძალიან დიდი სისულელე. ვისაც ფეხბურთი მათემატიკა ჰგონია, უბრალოდ ფეხბურთისა არაფერი გაეგება. ხოლო ისინი, ვინც ალბანეთში თამაშამდე საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსებზე ლაპარაკით აბრუებდა ხალხს...

თუმცა საჭიროზე მეტი მრავალწერტილები გამოგვივიდა. სჯობს სათქმელი პირდაპირ ვთქვათ:

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი მაშინ დაკარგა, როცა ციკლის დასაწყისშივე, პირველ სამ შეხვედრაში რვა ქულა ტუტუცურად დაკარგა.

ის რვა ქულა ნაკრებმა იმიტომ დაკარგა, რომ მწვრთნელი არ ჰყავდა. ცხადია, ნაღდ მწვრთნელზე მოგახსენებთ.

მწვრთნელი კი იმიტომ არ ჰყავდა, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა არ ინება. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ — მოწვევა არ შეეძლო კი არა, არ სურდა. თორემ პრეზიდენტისავე თქმით, კარგი მწვრთნელის სამყოფი ფული ფედერაციას ყოველთვის ჰქონდა.

ფედერაციას კი იმიტომ ჰყავს ასეთი პრეზიდენტი, რომ ყრილობამ მორჩილად აუწია ხელი მის არჩევას.

დღეს, გუშინაც და ხვალაც, ეს ადამიანები სუფრებზე განსხვავებული სასმისებით სვამენ, სვამდნენ და დალევენ ქართული ფეხბურთის დიდი წარსულის და ნათელი მომავლის სადღეგრძელოს, შეეცდებიან,



ვითომ შემთხვევით საკუთარი დიდი ღვაწლიც მოიხსენიონ და თუ თვალს შეასწრებენ, რომ ვინმემ ურწმუნოდ გააქნია თავი, რისხვასაც დაატეხენ:

### თქვენ რა იცით, ფუტბოლი, ტო! მათ ყველაფერი იციან. იციან?

**იხილეთ**

**ეროვნული ნაკრები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 4 | 3 | 1 | 15:11 | 15 |
| რუსეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 19:12 | 14 |
| ირლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | 11 |
| ალბანეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | 8 |
| საქართველო | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | 7 |

**ახალგაზრდული ნაკრები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 6 | 1 | 1 | 12:6 | 19 |
| რუსეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 14:8 | 15 |
| ალბანეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:10 | 10 |
| ირლანდია | 8 | 2 | 2 | 4 | 8:11 | 8 |
| საქართველო | 8 | 1 | 2 | 5 | 7:16 | 5 |

**19-წლამდელთა ნაკრები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 9 |
| იტალია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 8:5 | 3 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:13 | 0 |

# WELL DONE GEORGIA!



ინგლისელთა თორმეტი ლელოდან ორი უილ გრინვუდისა იყო

**გიო ახვლედიანი ლონდონიდან**

## ყველანაირი პატივი უტეხ საქართველოს!

...მოგებული და დაღლილი ინგლისელები იმდენს თავის კარგ თამაშზე არ ლაპარაკობენ, რამდენსაც იმაზე, რომ მეტოქე მათ ღირსეულად ეთამაშა.

**მარტინ ჯონსონი:**

...ჩვენ არ ველოდით ქართველებისგან ასეთ თამაშს, შევატყვეთ, რომ ფონს იოლად ვერ გავიდოდით და ტაქტიკა შევცვალეთ.

**ლოურენს დალალიო:**

...ქართველები კარგი მორაგბეები არიან და არც ჩაუმუხლიათ

იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდები




მახო ურჯუკაშვილმა საქართველოს მსოფლიოს თასზე პირველი ქულები მოუტანა

**საქართველოს პირველი ლიგა** 15 **ჩემპიონატი პირველი ეტაპი**

# 9 ტური



ზესტაფონელმა კონსტანტინე თავბერიძემ (№ 9) ავტოგოლით ამერელი რატი წინამძღვრიშვილი გაახარა

# დაბნეული ავტორის წერილი მარტივ თამაშზე

ზესტაფონი. 12 ოქტომბერი. 16 საათი. მეტალურგი. 100 მაყურებელი

## მეტალურგი 0:5 ამერი

0:1 წინამძღვრიშვილი (28), 0:2 თავბერიძე (44 ს.კ.), 0:3 კილასონია (70), 0:4 რუსია (79), 0:5 ხარატიშვილი (87 ს.კ.)

**მეტალურგი:** მდინარაძე, წიქარიშვილი, კვანტრიშვილი, კაპანაძე (ბოგვერაძე 46), თავბერიძე, ხარატიშვილი, ჭუმბურიძე, მანჯავიძე, გვენეტაძე, მალლაკელიძე (მიქაბერიძე 68), მუმლაძე (მანჯავიძე 61)
**მწვრთნელი:** ზაურ ჩუბინიძე

**ამერი:** ასლანაძე, ჩიხრაძე, დავითნიძე, ვერემჩუკი, ელბაქიძე, მჭედლიშვილი (გვაძაბია 68), გარუჩავა, ბერიანიძე (განუგრავა 58), კილასონია, რუსია, წინამძღვრიშვილი (ჩიმაკაძე 63)
**მწვრთნელი:** გაიოზ დარსაძე

**გაფრთხილება:** კაპანაძე (19), ჭუმბურიძე (41)

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი; გ. დოგრაშვილი, თ. ხუჭუა; მ. ნაკაიძე

პაატა კედია ზესტაფონიდან

**ამ მიმოხილვის** დაწერა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ზესტაფონში „მეტალურგსა" და „ამერს" შორის გამართულ მატჩს ადამიანმა ბევრი კუთხით შეიძლება შეხედოს. მაგალითად, ფაქტია, რომ „ამერმა" თავის ყველაზე ბევრგოლიან გამარჯვებას მიაღწია, თანაც იმ დღეს, როდესაც ბევრი ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ მეორე მხრივ, „მეტალურგი" აშკარა აუტსაიდერია და ეგებ მასთან მოგება დასკვნების გამოსატანად არც ვარგოდეს. მერედა, ზესტაფონში ფეხბურთზე ნამყოფ კაცს შეუძლებელია თავისებური გრძნობა არ დაგეუფლოს: გამოგიტყდებით და, ამ სიტყვების ავტორს გულის სიღრმეში არცკი უნდა „მეტალურგის" წაგებას ნებით თუ უნებლიედ ხაზი გაუსვას, რადგან აბსოლუტურად ბედის ანაბარა მიგდებული 66 წლის კლუბის დღევანდელი ფეხბურთელების მიმართ პატივისცემის გრძნობა გაუჩნდა — ისინი თავიანთ ქალაქს ფეხბურთს უნახავენ და ვინ იცის, ამით რა საქმეს აკეთებენ. კიდევ, ვფიქრობთ, თამაშის ხარისხის მხრივ ეს არ გახლდათ „ამერის" საუკეთესო შეხვედრა, მაგრამ.. ვუბრუნდებით იმას, რომ ბევრი ფეხბურთელი ტრავმირებული ჰყავდა და არ უთამაშია, რაც ითამაშა ამ კონკრეტული მატჩის დიდი ანგარიშით მოგებას ეყო, საოცრად ცუდ მინდორზე უკეთესად ვერც ითამაშებ და „ამერის" დამწყებ ფეხბურთელთათვის სტუმრად გამარჯვება და შედეგად ცხრილში ზემოთ გადაადგილება ჩამოყალიბების თვალსაზრისით იქნებ მეტად ხარისხიან თამაშზე მნიშვნელოვანიც გამოდგეს. თუმცა არც ისეა საქმე, თითქოს თბილისელებს ხარისხიანი არაფერი გაუკეთებიათ. პირიქით, მათი შესრულებით ძალიან საინტერესო კომბინაციებიც ვიხილეთ.

ერთი სიტყვით, ისევ ჩვენი მიმოხილვის პირველ წინადადებასთან მივდივართ. თამაშისთვის სხვადასხვა კუთხით შეიძლებოდა შეხედვა, ხოლო ვინ როგორ შეხედავდა მას, გუნება-განწყობაზე თუ რაიმე სხვა მოტივზე იქნებოდა დამოკიდებული.

ხუთი გოლიდან ორი „მეტალურგის" ფეხბურთელებმა საკუთარ კარში გაიტანეს, სამი კი თბილისელებმა შეაგდეს. სამიდან ერთი 15 წლის რატი წინამძღვრიშვილმა დაუმიზნა (წინამძღვრიშვილი და ზესტაფონელი მიხეილ ჭუმბურიძე ადგილობრივმა ჟიურიმ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებად დაასახელა და საგანგებო ჯილდოები გადასცა), ერთი მამუკა რუსიამ და ერთიც ვეტერანმა გიორგი კილასონიამ, რომელმაც „შვილების თაობასთან" თამაშს ზუსტად აუღო ალღო.

იყო სხვა მომენტებიც, თუმცა მათ ზუსტად აღწერას ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, დიდი აზრი არ აქვს. ერთადერთი, უგოლოდ დასრულებულ მომენტებს „მეტალურგის" მეკარის, მამუკა მდინარაძის შესაქებად თუ აღვწერდით, მაგრამ აღწერის გარეშე გვენდეთ: მდინარაძემ რამდენჯერმე იხსნა მასპინძლების კარი. სულ ბოლოს კი „ამერის" ფორვარდმა მამუკა რუსიამ ძელსაც გაარტყა ბურთი.

**ბორდა 0:1 ლოკომოტივი 2**

**ვიტ ჯორჯია-მც. 0:0 ცხინვალი**

**დინამო 2 1:1 იბერია**

**გურია 2:1 ლუკა**

**მილანი 2:0 ჩიხურა**

**სამგურალი 1:1 თსუ**

**ოლიმპი — ქობულეთი**
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 8 | 6 | 0 | 2 | 12:4 | 18 |
| სამგურალი | 9 | 5 | 3 | 1 | 12:5 | 18 |
| ოლიმპი | 7 | 5 | 2 | 0 | 16:6 | 17 |
| ბორდა | 9 | 5 | 1 | 3 | 12:10 | 16 |
| თსუ | 9 | 4 | 2 | 3 | 17:9 | 14 |
| ცხინვალი | 8 | 3 | 4 | 1 | 13:4 | 13 |
| დინამო 2 | 9 | 3 | 3 | 3 | 15:12 | 12 |
| ამერი | 8 | 3 | 2 | 3 | 13:9 | 11 |
| გურია | 9 | 3 | 2 | 4 | 8:10 | 11 |
| მილანი | 9 | 3 | 2 | 4 | 5:7 | 11 |
| ვიტ ჯორჯია-მც. | 9 | 2 | 5 | 2 | 6:6 | 11 |
| ლოკომოტივი 2 | 9 | 3 | 1 | 5 | 6:11 | 10 |
| ლუკა | 9 | 3 | 1 | 5 | 7:14 | 10 |
| იბერია | 9 | 2 | 4 | 3 | 6:12 | 10 |
| ჩიხურა | 8 | 3 | 0 | 5 | 7:11 | 9 |
| მეტალურგი | 9 | 0 | 0 | 9 | 3:28 | 0 |


**ყურადღება!**

**ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ დაიწყო 1990-1996 წლებში დაბადებული ბავშვების მიღება**

ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე
ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66


## ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

შესარჩევი ტურნირი (ესტონეთი). III ტური

**ესტონეთი 1:8 საქართველო**

0:1 გ. ჭელიძე (13), 0:2 იაშვილი (18), 0:3 კირიკაძე (31), 1:3 პურკი (53), 1:4 გ. ჭელიძე (54), 1:5 იაშვილი (61), 1:6 გ. ჭელიძე (81), 1:7, 1:8 იაშვილი (84, 85)
**საქართველო:** ჩალაძე, გიგაური, კალაძე, ლ. ჭელიძე, გრიგალაშვილი (ლაღაძე 72), ფიფია (გეწაძე 58), კანკავა, ხმალაძე, იაშვილი, გ. ჭელიძე, კირიკაძე (ელიავა 76)
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი
**გაფრთხილება:** რუპსი (12), ტუკი (17), გიგაური (59), გრიშინი (68), კირიკაძე (73)
**გაძევება:** კინკი (37)
**მსაჯი:** დ. მალკოლმი (ჩრდ. ირლანდია)

**2004 წლის** ევროპის ცხრამეტწლამდელთა ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩში საქართველომ მასპინძელ ესტონეთს გადაუარბინა. კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებმა პირველ ორ მშრალ მარცხს 8:1 მიაყოლეს.

ესტონელთა დაბომბვა მე-13 წუთზე გიორგი ჭელიძემ დაიწყო, რასაც იაშვილ-კირიკაძემ ორიც დაუმატა და პირველი ტაიმი ჩვენებმა 3:0 მოიგეს.

მართალია, პირველ ორ ტურში დამარცხების გამო არც ერთ მეტოქეს არ შეეძლო შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის ბრძოლა, მაგრამ პრესტიჟის მატჩში ორივე ცდილობდა კარის გაჯახუნებას.

მასპინძლებიც შეეცადნენ, თამაშში გარდატეხა შეეტანათ და 53-ე წუთზე პურკმა ანგარიშიც შეამცირა. ესტონელთა სიხარული და ჟინი რამდენიმე წამში გაქრა — გიორგი ჭელიძემ კვლავ სამი ბურთით დააწინაურა თავისიანები.

61-ე წუთზე სანდრო იაშვილმა დუბლი შეასრულა — 5:1 და ბოლო ათ წუთშიც ჭელიძე-იაშვილი მხოლოდ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გოლების გატანაში. გამარჯვება სანდროს დარჩა — პოკერით გიორგის ჰეთ თრიქს აჯობა.

ერთი სიტყვით, საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები ბოლო ადგილს ასცდა. სამ თამაშში მოპოვებული სამი ქულით მესამეზე გავიდა და ტურნირს მაინც უსახელოდ დაემშვიდობა.

უსუსური ესტონეთი ბოლოა. მეორე ეტაპზე კი ბელგია-იტალია გავიდა. ყველას გასაკვირად, ბელგიელებმა 3:1 მოუგეს პატარა „სკუადრა ატურას" და ჯგუფში პირველობაც თვალსა და ხელს შუა ააცალეს. თუმც იტალიელებს გული დიდად არ დასწყვეტიათ, ისინი ბელგიელებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ სვლას აგრძელებენ.

**კახა შალამბერიძე**

**იტალია 1:3 ბელგია**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 9 |
| იტალია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 8:5 | 3 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:13 | 0 |



სანდრო იაშვილმა (მარჯვნივ) მასპინძლებს პოკერი გაუშალა


**ფეხბურთი**

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
**პირველი ლიგა**
**16 ოქტომბერი**
მეექვსე ტურის გადადებული მატჩი
**ამერი — ჩიხურა**
თბილისი — საჩხერე
დასაწყისი 16 საათზე
დასწრება უფასოა


**ინგლისი**

კონფერენსლიგა. XIV ტური

ჰერეფორდი 1:1 დაგენემი

**ირლანდია**

პრემიერლიგა. გადადებული მატჩები

შოტერფორდი 0:0 ლონგფორდი
ბოჰემიანსი 1:1 დროჰედა
შემროკი 1:1 დერი სიტი
დუბლინი 0:0 სენტ პატრიკსი
კორკ სიტი 1:1 შელბურნი

**შვედეთი**

სუპერეტა. XXVIII ტური

ნორჩიოპინგი 3:3 ტრელებორგი
ვესტეროსი 0:2 კალმარი
ფრიოლუნდა 1:1 ჰეკენი

**იტალია**

სერია C1/B. VII ტური

ლანჩანო 2:0 ტერამო

# მოუშორებელი ვი-რუსი

## საქართველოს ნაკრებს ტრეპანაცია სჭირდება

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. მეათე ჯგუფი**

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. 20.30 საათი. ლოკომოტივი. 30 000 (ტევადობა 30 000)

**რუსეთი 3:1 საქართველო**

0:1 იაშვილი (3), 1:1 ბულიკინი (29) , 2:1 ტიტოვი (45) , 3:1 სიჩოვი (71)




შეცვლა: კარიაკა – 17. იზმაილოვი (46), ჯამარაული – 18. ბურდული (46), ცქიტიშვილი – 14. ასათიანი (54), კერჟაკოვი – 18. სიჩოვი (56), აშვეთია – 13. დარასელია (58), გუსევი – 14. ალდონინი (62)

გაფრთხილება: დემეტრაძე (1), ქემოკლიძე (31), სიჩოვი (71), ნემსაძე (80)

მსაჯები: კონრად პლაუცი; ეგონ ბეროიტერი, მარკუს მაირი; დიტმარ დრაბეკი (ყველა ავსტრია)

ჯარიმა: 9-13; კუთხური: 13-4; კარისკენ დარტყმა: 16-7; კარში დარტყმა: 9-8; თამაშგარე: 0-5

**არ გაახაროთ,** სიკვდილი მათ, ჩაქოლეთ... მაიმუნებო...

შაბათ საღამოს ასეთი სიტყვები ისმოდა მოსკოვის გადაჭედილ „ლოკომოტივის“ სტადიონზე, თუმც იყო ის 26 წუთიც, როცა სტადიონზე მყოფ ქართველობას ქვეყანა ჩვენი გვეგონა...

ამ 26 წუთს, გინდ სატყუარა დაარქვით, გინდ რა, ერთი კია საქართველო რუსეთს დაჰყურებდა და ალბათ, მასპინძლებმა იმ 26 წუთში ის განიცადეს, რაც ჩვენ მთელი 70 წლის მანძილზე...

„ლოკომოტივი“ გადაჭედილი იყო, ნემსი არ ჩავარდებოდა. მატჩის წინა დღეს — თავად ვიკითხე გადამყიდველთან — ბილეთი 1000 დოლარი ღირდა. რუსი მოსკოვში ამ მატჩზე დასასწრებად ჩამოსულიყო სვერდლოვსკიდან და ნოვოროსიისკიდანაც კი.

საშინელი ამინდი იდგა. წვიმა და ქარი, 7 გრადუსი. სტადიონი ჩინებული, ვთქვათ, რომ ულტრათანამედროვე... „ლოკომოტივზე“ „დიდება“ გაისმა... ხეირიანად არც ისმოდა. რუსების ხასიათია — ბოლმა. ჰოდა, რუსებმაც ამოანთხიეს თავიანთი გულისნადები 11 ოქტომბერს, საპასუხოდ შარაშანდელი 12 ოქტომბრისა, როცა თბილისურ „ლოკომოტივზე“ (უშუქობის გამო ჩაშლილი მატჩი) რუსულ ჰიმნს ქართველები გამაყრუებელი სტვენით შეეგებნენ. ისე, რუსული „იდიდე“ საბჭოური უფროა, ვიდრე რუსული, თუმც რუსეთი ხომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ ასაღებს თავს.

მოკლედ, ასე იყო, რუსები ჩვენს ჰიმნს ფეხზეც არ წამოუდგნენ, წივილ-კივილ-სტვენით სახეზე მკვდრის ფერი ედოთ. ასე გაგრძელდა 29-ე წუთამდე — რუსეთი მკვდარი იყო!

რუსებს, უფრო სწორად იქაურ ყველაზე პოპულარულ სპორტულ გამოცემა „სპორტ-ექსპრესს“ ერთი დიდი უზუსტობა მოუვიდა, რამაც მთელი მოსკოვი აიყოლა. „სპორტ-ექსპრესი“ წერდა, საქართველოს ყოფილ მოკავშირეთაგან რუსეთის გარდა არავინ ჰყავს დამარცხებული, წაუგიათ მოლდოვასთან, ვერ მოუგიათ ლატვიასთანც... საქართველოს ნაკრების ოფიციალურ მატჩთა ჩამონათვალიც იყო მოცემული, თუმც რატომღაც რუს კოლეგებს გამორჩენოდათ, რომ ჩვენებმა 1997 წელს მოლდოვას ორჯერ სძლიეს მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. ასეთი უზუსტობით კი ექსპრესელებმა მეტად გააღიზიანეს რუსი ქომაგი — მაინცდამაინც რუსეთს უნდა დააკარგინოთ ქულები? — ხშირად ისმოდა მოსკოვში.



მატჩი ყველასთვის მოულოდნელად დაიწყო, იაშვილის დარტყმით, იგნაშევიჩისგან ასხლეტილი ბურთით და მეკარე ოვჩინიკოვის გაოგნებული გამომეტყველებით. ალბათ, ტელევიზორში არ ჩანდა, ბურთი რომ მის კარში აღმოჩნდა, იგი სასოწარკვეთილი იქვე ჩაიმუხლა და ბურთიანად კარში შეგორდა. ეს იყო და რუსები ხუთი-შვიდი წუთი შოკში იყვნენ. გადაჭედილ „ლოკომოტივზე“ დაახლოებით სამ-ოთხი ათასის ხმა ისმოდა — საქართველო... შემდგომ შეძახილს გამაყრუებელი საყვირი ახშობდა — როსია, როსია, ისმოდა. ასე იყო თუ ისე, საქართველო თითქმის ნახევარი საათით რუსეთს დაავლდა.

რუს ჟურნალისტებსაც კი უკვირდათ, როგორ გააცუდეს ხელსაყრელი მომენტები ჯამარაულმა და დემეტრაძემ, როცა ანგარიში 0:1 იყო.

*მიხაილ მელნიკოვი, ენტევე:* — დარწმუნებული ვარ, ჯამარაულიც და დემეტრაძეც ასი ასეთი შესაძლებლობიდან ასივეს კარში მოარტყამდნენ, გოლსაც გაიტანდნენ.

ვერ აღვიწერთ იმ ატმოსფეროს, რაც „ლოკომოტივის“ სტადიონზე რუსების გამათანაბრებელი გოლისას იყო, უფრო სწორად, გოლის შემდეგ: მატჩი ორი-სამი წუთით შეწყდა, ადგილობრივი ინფორმატორი ქომაგთ სიმშვიდისკენ მოუწოდებდა — პეტარდებით ლამის მოედანი დაიწვა. ქართველობას ასე არ გახარებია ის გოლი, რომელიც ასათიანმა თბილისში რუსებს გაუტანა.

მეორე გოლისას „ლოკომოტივს“ ალბათ ბზარებიც კი გაუჩნდა, რუსეთი ცაში იყო!

და მიუხედავად რუსეთის სასარგებლო ანგარიშისა, შეხვედრის მეორე 45 წუთი მათ ძვირად დაუჯდათ. ტრიბუნებიდან ოთხი კაცი სასწრაფომ მანქანამდე საკაცით მიიყვანა, რამდენიმე ტრიბუნაზევე მოასულიერეს, ზოგმა კი ბოლომდე ვეღარ გაძლო და სტადიონი სიჩოვის მართლაც ბრწყინვალე გოლამდე დატოვა. შესვენების შემდეგ ჩვენებს მეტოქის მეკარე არც შეუწუხებიათ.

ვერ ვიტყვი, რომ ნამატჩევს რუსებმა ისე გაიხარეს, თითქოს ეს რა სასწაული მოხდაო, თუმც კი, ფაქტია, ჩვენთან გამარჯვების სიხარულმა რამდენიმე ასეულ ქომაგს მილიციაში კი ამოაყოფინა თავი. ქართველებიდან, ოფიციალური ცნობით, ნამატჩევს არავინ დაუკავებიათ. და, სხვათა შორის, რუსული მილიცია ქართველობისადმი იმ დღეს რატომღაც მხოლოდ ტკბილსიტყვაობით იყო დაკავებული.

### მატჩის შემდეგ

*მერაბ ჟორდანია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:*

— ვულოცავ რუსეთის ნაკრებს წარმატებას. მასპინძლებმა, ვფიქრობ, იმიტომ მოიგეს, რომ ეს ჩვენზე მეტად სურდათ.

...ნემსაძეს დავალება მივეცით, რომ დაცვაში ეთამაშა, მას მცველის მოვალეობის შესრულება ვთხოვეთ.

...ყველამ ნახა, როგორი თამაშიც იყო. მართალია, ჩვენ ჯგუფში საპირველადგილოდ რუსეთს ვქომაგობდით, მაგრამ შვეიცარიაში ირლანდიამ წააგო და...

*გიორგი იარცევი, რუსეთის ნაკრების მწვრთნელი:*

— ლაპარაკი იყო, რომ თითქოს ამ მატჩს ქართველთათვის აზრი არ ჰქონდა, რადგან რუსეთს სამი ქულა სჭირდებოდა... მაგრამ, საქართველოს დიდი მოტივაცია ჰქონდა, სტუმრები ღირსებისთვის თამაშობდნენ, მათთვის ჯგუფში ბოლო ადგილი, ვფიქრობ, შეუსაბამოა.

— 15 ოქტომბერს რუსეთის საფეხბურთო კავშირის სხდომაა და მაშინ გადაწყდება, დავრჩები თუ არა ნაკრების მწვრთნელად — უპასუხა იარცევმა.

**კობა ინასარიძე**

***მოსკოვი — თბილისი***



**ზურაბ ხიზანიშვილი და ალექსანდრ მოსტოვოი**



**დმიტრი სიჩოვი**

# ალექსანდრე იაშვილი: ჩაწყობილ თამაშზე ფრაიბურგიდან არ ჩამოვიდოდი მე ინძაგი არ ვარ



*ალექსანდრე იაშვილის გოლი მე-3 წუთზე, სიხარული და იმედი, რომ რუსეთს მოსკოვშიც დავამარცხებთ. მაგრამ კვლავ წაგება, კვლავ მითქმა-მოთქმა, კვლავ ეჭვები და ბოლო ადგილი.*

*იაშვილი კი მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ, ჯიგარი და გული რომ დასდო მოსკოვის „ლოკომოტივის" წვიმით დანამულ მინდორზე და მატჩისშემდგომი ინტერვიუც მას ვთხოვეთ*

— ძალიან სამწუხაროა ის, რაც მოხდა. კარგა ხანია, საქართველოს ნაკრებს ასე კარგად არ უთამაშია, მაგრამ პირველ ტაიმში უაზრო გოლები გავუშვით. ამას წინათ ალბანეთში ცუდად ვითამაშეთ და წავაგეთ, ახლა კი არ უნდა წაგვეგო. არა მგონია, საქართველოს ნაკრების გარდა ასეთი თამაში სხვა გუნდს დაეთმო.

**— რითი ახსნი იმას, რომ ასეთ თამაშს ჩვენს გარდა არავინ წააგებდა?**

— ამის ახსნა ძალიან ძნელია. გული ძალიან დამწყდა — მოგება გვინდოდა და ამისთვის მონდომება არ დაგვიკლია. პირველ ტაიმში ჩვენი კარგი თამაშით ყველა გაოცებული იყო, ამას ჩვენგან არავინ ელოდა. რუსმა ფეხბურთელებმა მინდორზე ვერ გაიგეს რა ხდებოდა, არეულები იყვნენ.

**— თამაშის წინ ჩვენთან და მოსკოვშიც ხმები დადიოდა, მატჩი გარიგებულია, რუსეთი საქარველოს მინიმალური ანგარიშით მოუგებსო. თამაშის შემდეგ კი აზრი ორად გაიყო — ზოგს ჩაწყობის სჯეროდა, ზოგს კი აზრი შეეცვალა...**

— უვიცი უნდა იყო, ასეთი რამ რომ შეგეშალოს და ვერ მიხვდე, როგორი თამაში იყო. მატჩი რომ გარიგებული ყოფილიყო, ამხელა გზას არ გამოვივლიდი ფრაიბურგიდან. ისიც ფაქტია, გოჩა ჯამარაულს საზარდული ტკიოდა, მაგრამ გამაყუჩებელი ნემსით მაინც ითამაშა.

**— საქართველოს ნაკრებმა ორი ძალიან განსხვავებული ტაიმი რომ ითამაშა, ეგ რისი ბრალი იყო?**

— ლევან ცქიტიშვილმა ფეხი იტკინა და ჯამარაულის დარად ვერც მან შეძლო თამაშის გაგრძელება. შედეგად, ნახევარდაცვაში ორი ძალიან ფასეული ფეხბურთელი მოგვაკლდა, მოედნის ცენტრში ველარ გამოგვივიდა თამაში და ხეირიანად ველარ შევუტიეთ. ეს რომ პირველ ტაიმში კარგად გამოგვდიოდა, ჯამარაულის და ცქიტიშვილის დიდი დამსახურება იყო.

**— ფაქტია, მეორე ტაიმში რუსებმა სისწრაფეშიც გვაჯობეს — მარატ იზმაილოვმა და დმიტრი სიჩოვმა დიდი პრობლემები შეგვიქმნეს...**

— იზმაილოვმა და სიჩოვმა მართლაც უკეთ ითამაშეს იმათზე, ვის ნაცვლადაც მოედანზე გამოვიდნენ. მაგრამ მთავარი აქ ის იყო, რომ ჩვენი პლუსი შეტევა გახლდათ, რაც მეორე ტაიმში ვერ მოვახერხეთ და რუსებმა პირველ ყოვლისა ამით ისარგებლეს. რუსებს კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, ისინი სწრაფები არიან და თუ საშუალება მიეცი, ყველაფრის კარგად კეთება შეუძლიათ. ჩვენი მიზანი იყო, თამაში უმეტესწილად მეტოქის ნახევარზე წარმართულიყო და ეს მეორე ტაიმში ვერ შევძელით. თანაც, 1:1 რომ დამთავრებულიყო პირველი ტაიმი, მეორეში სხვა თამაში წავიდოდა.

**— რუსთა მეკარემ სერგეი ოვჩინიკოვმა არაერთი რთული ბურთი მოიგერია — არც ამ ფაქტორმა ითამაშა მოკრძალებული როლი.**

— რა თქმა უნდა, ოვჩინიკოვი კარგი მეკარეა და მისი დიდი დამსახურებაა, რომ რუსეთის კარში ერთ გოლზე მეტი არ გავიდა. თუმცა, ვფიქრობ, გიორგი ლომაიამ მასზე უკეთ ითამაშა. საერთო ჯამში კი მეკარის ფაქტორი ამ მატჩში უმთავრესი არ ყოფილა.

**— ფრაიბურგულ ამბებზეც ვთქვათ. ბუნდესლიგის ბოლო ტურში „მიუნხენს" 1:0 რომ მოუგეთ, „კიკერმა" ოთხიანი დაგიწერა. არადა, „ფრაიბურგის" ყველა სახიფათო იერიშში მონაწილეობდი და ზლატან ბაირამოვიჩის გოლშიც დიდი წილი დაიდე. როგორ ფიქრობ, გერმანელი ჟურნალისტების შეფასებები ძალიან სუბიექტურია?**

— ფეხბურთელების შეფასება გერმანიაში სხვადასხვა კრიტერიუმებით ხდება. მაგრამ ხანდახან არის ხოლმე, საკუთარი თავის უკმაყოფილო ხარ, მაგრამ მაღალ შეფასებას გაძლევენ, ხან პირიქით. „მიუნხენთან" ჩემი და ცქიტიშვილის თამაშით ფოლკერ ფინკე ძალიან კმაყოფილი დარჩა. ტურის სატელევიზიო მიმოხილვის დროსაც ჩვენზე თქვეს, საუკეთესოები იყვნენო. მოკლედ, ყველას თავისი აზრი აქვს. მთავარი კი ისაა, რომ გუნდის ხელმძღვანელობა იყოს კმაყოფილი.

**— „ფრაიბურგში" ფორვარდების უკან ხარ გამწესებული, ნაკრებში კიდევ უფრო უკნიდან თამაშობ — როგორც ჩანს, ამას უკვე კარგად შეეჩვიე.**

— ჩემი პლუსი სწორედ უკნიდან თამაშია, მხოლოდ მეტოქის საჯარიმოში ყოფნა საჩემო არაა — ფილიპო ინძაგივით თამაში მე არ შემიძლია, რაც უფრო ხშირად ვიღებ ბურთს, უფრო მიადვილდება თამაში.

**დავით თავართქილაძე**

# რუსეთის უელსი ახარებს, აშვეთიას 35 წუთი

*რუსეთმა საქართველოს 3:1 მოუგო და მეათე შესარჩევ ჯგუფში მეორე, საპლეიოფო ადგილი დაიჭირა. რუსის ამბებს არ ვჩივით, ჩვენს ნაკრებს მივხედოთ და 11 ოქტომბრის წაგებულ, გახმაურებულ, ბევრისთვის გარიგებულად მონათლულ და ქართველებისთვის ბოლო ადგილის „მომტან" მატჩზე მიხეილ აშვეთიას აზრი მოვისმინოთ:*



— წავაგეთ სათქმელი ბევრიც არაფერი მაქვს. თამაში ყველამ ნახა და ყველას თავისი აზრი ექნება. სამწუხაროა, რომ ეს ციკლიც ასე უსახელოდ ჩავამთავრეთ.

**— ისე ჩანდა, თითქოს შეცვლისას უკმაყოფილო იყავი...**

— რატომ? რამდენჯერ შევუცვლივარ მწვრთნელებს და უკმაყოფილება არასოდეს გამომიხატავს. ასე იყო ახლაც. თან ფეხი მტკიოდა და შეცვლა ისედაც მჭირდებოდა. ეტყობა, სწორედ ტრავმის გამო მქონდა ასეთი სახე.

**— თამაშამდეც და თამაშის შემდეგაც ბევრი ფიქრობს, რომ რუსეთ — საქართველო ჩაწყობილი იყო. რას ეტყვი ამ ხალხს?**

— წაგებულის შემდგ ლაპარაკი ძნელია. ისე გამომდის, თითქოს თავს ვიმართლებ, არადა, ეს ნამდვილად არ მჭირდება. ჩვენ სუფთად ვითამაშეთ. არავის უთქვამს მატჩი გარიგებულიაო და დარწმუნებული ვარ, ბიჭებიც ჩემსავით იყვნენ. ვითამაშეთ და წავაგეთ. განსაკუთრებით პირველი 35 წუთით ვარ კმაყოფილი. მერე რუსებმა გვაჯობეს. მეორე ტაიმში მათი ძალა აშკარად გამოჩნდა. ახლა ამას ათასნაირი კუდი შეიძლება გამოებას. ყველა თავისებურად ფიქრობს და რა ვქნა? ცუდია, რომ ვიღაც-ვიღაცეებს ასეთი აზრი უჩნდებათ.

**— რუსებმა ალბათ ძალიან გაიხარეს...**

— მოგების შემდეგ იმდენად არა. უფრო დღეს „გაიჯეჯილეს", როცა პლეი ოფში მეტოქედ უელსი შეხვდათ.

**— ასე გაუხარდათ?**

— ძალიან. ახლა ყველას უელსი აკერია პირზე. დარწმუნებულები არიან, რომ ამ ეტაპსაც გაივლიან და ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ, თუმცა უელსიც არ არის ცუდი გუნდი. არა მგონია, რუსებმა ისევე იოლად მოიგონ, როგორც ახლა ჰგონიათ.

**ქახა შალამბერიძე**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ჩვენი ჯგუფი



# კუნის არია: შვეიცარია!

**შვეიცარია. 2:0 ირლანდია**

**1:0 ჰ. იაკინი (6), 2:0 ფრეი (60)**

**შვეიცარია: შტილი, ბ. ჰაასი, შპიხერი, მიულერი, მ. იაკინი, ფოგელი, ჰუგელი, ვიკი, ფრეი (ანშო 90), ჰ. იაკინი (სელესტინი 55), შაპუიზა (სტრელერი 68)**

**მწვრთნელი: იაკობ კუნი**

**ირლანდია: გივენი, კარი, ჰარტი, ოში, ბრინი, ჰოლანდი (კინსელა 74), დაფი, შელი, კონოლი (მორისონი 58), კინი, კილბეინი (ფინანი 74)**

**მწვრთნელი: ბრაიან კერი**

**გაფრთხილება: ჰაასი, კარი, ვიკი**

**მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)**

**30 006 მაყურებელი**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეათე ჯგუფი: შვეიცარია, რუსეთი, ირლანდია, ალბანეთი, საქართველო და წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი გიუნტერ ნეტცერი. რა კავშირი აქვთ ამათ ერთმანეთთან? ბევრი არაფერი. უბრალოდ, წილისყრის შემდეგ ნეტცერმა ასეთი პროგნოზი გააკეთა: მეათე ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე პირდაპირ გავლენ რუსები და არა შვეიცარიელები. ამჟამად სწორედ შვეიცარიაში მცხოვრებმა გერმანელმა ეს აზრი შემდეგნაირად დაასაბუთა: რუსები „მშივრები" არიან. რუსეთში ცხოვრება გაცილებით რთულია, ვიდრე შვეიცარიაში. ამიტომ რუსები უფრო მეტი ჟინით ეცდებიან ხალხში გარევას.

ნეტცერის, ერთი შეხედვით, უცნაური ლოგიკა არ გამართლდა. მეათე ჯგუფში შვეიცარიამ იძალა, რუსეთს კი პორტუგალიაში შესვლამდე რამდენიმე კილომეტრი კიდევ დააკლდა.

ახლა ჩვენს „უფროს ძმას" შევეშვათ და შვეიცარია — ირლანდიის ჯახზეც ვთქვათ. ფინალური ეტაპისკენ მიმავალი გზა ორივე გუნდს შეთვალიერებული ჰქონდა. ახლა შანსებზე, ლაპარაკს აზრი არა აქვს, მხოლოდ ერთი ვთქვათ: ირლანდიელები მოგების შემთხვევაში იშორებდნენ შვეიცარიელებს, მასპინძლებს კი ფრეც ხელს აძლევდათ. თუმც რატომ ფრე? მოვიგოთ და პირველი ადგილიც ჩვენია — ასეთ ამოცანას იაკობ კუნის გუნდმა თავი გაართვა.

მატჩი კი ისე დაიწყო, „სამყურები" უკეთესს ვერც ინატრებდნენ. ოქმს თუ ჩახედავთ, ჩემს სრულ ჭკუაზე ყოფნაში ეჭვი შეგეპარებათ, შვეიცარიელებმა ხომ მე-6 წუთზევე გაუტანეს შეი გივენს, მაგრამ... დიახ, ეს „მაგრამ" ყველაფრის თავშია: იმავდროულად მოსკოვში დაწყებულ მატჩში ხომ ალექსანდრე იაშვილმა მე-3 წუთზევე დაამწუხრა რუსები. ეს კი ირლანდიის შანსი იყო, თუმც გამოუყენებელი...

როგორც უკვე გითხარით, ჰაკან იაკინმა მე-6 წუთზე აალრიალა „სენტ იაკობ პარკი". შვეიცარიელმა იოლად მოატყუა ირლანდიელთა მეკარე და ანგარიში გახსნა.

მომენტები სტუმრებსაც ჰქონდათ, მაგრამ ყველაფერი მე-60 წუთზე დასრულდა. შტეფან შაპუიზას თავური შეი გივენმა უხეიროდ მოიგერია, დამატებაზე კი ალექსანდრ ფრეიმ იყოჩაღა — 2:0.

შვეიცარია ევროპის ჩემპიონატზეა. ფეხბურთელების სიხარულს საზღვარი არა აქვს. ტრიბუნებზე მხოლოდ თეთრ-ჯვრიანი წითელი დროშები ჩანს. შვეიცარია ზეიმობს და ცაშიატყორცნილ იაკობ კუნს ხელების დახეთქვამდე უკრავს ტაშს...

კუნის ბედნიერებას ერთი ფაქტიც ალამაზებს. მატჩის მეორე დღეს მას 60 წელი შეუსრულდა. აი, რა დაწერეს შვეიცარიულმა გაზეთებმა: „ამ უბედნიერეს დღეს ჩვენს თავს ვატყობთ, რომ ყველას კუნობა გვსურს"...

მატჩის გმირი ჰაკან იაკინი კი მძიმე დღეშია. მას ტრავმამ შეხვედრის ჩამთავრება არ აცალა, თუმც იაკინის სიხარული მისი სიტყვებიდანაც ჩანს: „გულს ძალიან უხარია, მაგრამ ფეხი საშინელ ტკივილს უპირისპირებს. სამაგიეროდ, ახლა ჩემს სავიზიტო ბარათზე რაღაცის დაწერა შესაძლებელი იქნება. მაგალითად, ევროპის ჩემპიონატის მონაწილე. გენიალურია!"

**ქახა შალამბერიძე**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 4 | 3 | 1 | 15:11 | 15 |
| *რუსეთი* | 8 | 4 | 2 | 2 | 19:12 | 14 |
| ირლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | 11 |
| ალბანეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | 8 |
| საქართველო | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | 7 |

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## II ჯგუფი

# ჯერ თქვენთვის ადრეა

## ბოსნიამ დანიას ვერ გადააბიჯა

**ბოსნია 1:1 დანია**

**0:1 იორგენსენი (12), 1:1 ბოლიჩი (39)**
**ბოსნია: ჰასაგიჩი, სპაჰიჩი (ბალიჩი 46), მუსიჩი, კონჯიჩი (ჰრგოვიჩი 80), ბაირამოვიჩი (ბიშკევიჩი 86), ჰიბიჩი, ბოლიჩი, გრუიჩი, ბარბარესი, სალიჰამიჯიჩი, ბესლია**
**დანია: სორენსენი, ვიგჰორსტი, ჰენრიკსენი, ლაურსენი, ნ. იენსენი (ნილსენი 46), ჰელვეგი, გრავესენი, გრონკიაერი (როლ-ლარსენი 85), ტომასონი, იორგენსენი (რომედალი 57), პოულსენი**
**მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)**
**გაძევება: გრავესენი (90)**
**36 000 მაყურებელი**

ბოსნია-ჰერცოგოვინა პორტუგალიასთან ახლოს იყო, მაგრამ დანიურმა გამოცდილებამ იძალა. „ვიკინგებმა“ მასპინძლებს პირველი ადგილი არ დაუთმეს და ევრო 2004-ის საგზური თავად მიისაკუთრეს.

„კოშევოს“ გადაძეძგილი სტადიონი მთელი მატჩის განმავლობაში გუგუნებდა, საკუთარ ნაკრებს ამხნევებდა, თუმც მხოლოდ ქომაგობა სტუმართა დასაძლევად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ბოსნიელები ევროპის ჩემპიონატის სიახლოვემ ძალიან აანერვიულა და მატჩი დასაწყისში დანიელები უკვე უტევდნენ. იონ დალ ტომასონის კარგი პასი მორტენ ვიგჰორსტმა ვერ შეირგო, იესპერ გრონკიაერმა კი ტომას გრავესენის ნაბოძებ ბურთს ძლიერად დაჰკრა და კენან ჰასაგიჩმა მოიგერია. მოგვიანებით ლაურსენის თავური მასპინძელთა მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა. ერთიმეორეზე მიწყობილი რამდენიმე სახიფათო შეტევა საბოლოოდ გოლით დასრულდა. ტომას გრავესენმა მარტინ იორგენსენს ბურთი საჯარიმოში წაუმძღვარა და „უდინეზეს“ ლეგიონერს გატანა არ გასჭირვებია.

მასპინძლებს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ და ლაღად შეუტიეს. „ბაიერნის“ ჰასან სალიჰამიჯიჩი მარჯვენა ფლანგზე ჩვეულად აქტიურობდა. ტაიმის მიწურულს სალიჰამიჯიჩის ჩაწოდებულ ბურთს ელვირ ბოლიჩმა თავური დაჰკრა და ტომას სორენსენის ნახტომი ამაო გამოდგა.

დანიელ მცველებს მეტოქეებთან საჰაერო ბრძოლაში უჭირდათ და დამხვდურებიც ამით სარგებლობდნენ. შესვენებამდე ბარბარესმა ერთხელაც უთავაზა ბურთს, მაგრამ სორენსენმა იყოჩაღა. ვედინ მუსიჩს და ბარბარესს თითოჯერ კარგი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ უხეიროდ დაარტყეს.

შეხვედრის მიწურულს ნერვების თამაში დაიწყო. ნებისმიერ კარში გატანილი ერთი გოლი პირველი ადგილის ბედს გადაწყვეტდა. დანიელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობისას ბურთმა აცაბაცა არბინა, ბოლოს ბოსნიელის ფეხიდან კარისკენ წავიდა, გზად მცველს შეეხო და უკვე საპირისპირო მხარეს გადახრილი სორენსენი უძლური იქნებოდა, ბურთი კარში რომ შესულიყო.

ბოლო წუთზე ორი ყვითელი ბარათის გამო ტომას გრავესენი გააძევეს, მაგრამ ბოსნიელებმა მეტოქის კაცნაკლულობით ველარ ისარგებლეს.

**ნორვეგია 1:0 ლუქსემბურგი**

**1:0 ფლო (18)**
**მსაჯი: ზოლტ შაბო (უნგრეთი)**
**22 255 მაყურებელი**

ნორვეგიამ ლუქსემბურგს ოდენ ერთი გოლი გაუტანა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა მეორე ადგილზე გადასასვლელად. ოსლოში მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ და ტორე ანდრე ფლოს არაერთი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა.

„სიენას“ ფორვარდმა პირველი ტაიმის შუაწელში იხეირა. ბრატბაკის პასი მიიღო და საგოლედ დაჰკრა. ამ ეპიზოდიდან წუთში ფლოს დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის მიწურულს ლუქსემბურგსაც შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ბოლო დარტყმის ზუსტად შემსრულებელი არ ჰყავდათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 8 | 4 | 3 | 1 | 15:9 | 15 |
| ნორვეგია | 8 | 4 | 2 | 2 | 9:5 | 14 |
| რუმინეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 21:9 | 14 |
| ბოსნია | 8 | 4 | 1 | 3 | 7:8 | 13 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 0:21 | 0 |



ბოსნია — დანია. იონ დალ ტომასონი (№9) და მირსად ჰიბიჩი

REUTERS

## III ჯგუფი

# ინებეთ სანახაობა

## ბრიუკნერი მოგებით ვერ ძღება

**ჰოლანდია 5:0 მოლდოვა**

**1:0 კლუივერტი (43), 2:0 სნეიდერი (51), 3:0 ვან ჰოიდონკი (74პ), 4:0 ვან დერ ვაატი (80), 5:0 რობენი (89)**
**ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი (მაკაი 33), სტამი, ოიერი, ვან ბრონკჰორსტი, ვან დერ მეიდე, კოკუ, სნეიდერი, ოვერმარსი (რობენი 65), კლუივერტი (ვან ჰოიდონკი 71), ვან დერ ვაარტი**
**მოლდოვა: ხმარუკი, კოვალენკო (ტესტიმიცანუ 63), საგინოვი, ვალიუტა, კატინსუსი, კოვალჩუკი, პრიგანიუკი, ს. ივანოვი (მიტერევი 82), ჩებოტარი, ბარიშევი, დადუ (გოლბანი 74)**
**მსაჯი: ჟელკო სირიჩი (ხორვატია)**
**25 000 მაყურებელი**

ჰოლანდიის ნაკრები ჩეხეთს ველარ გადაასწრებოდა და მოლდოვასთან მატჩში დიკ ადვოკაატმა ექსპერიმენტებისთვის მოიცალა.

ფრანკ დე ბურს და ბუდევეინ ზენდენს მარაგში თითო ყვითელი ბარათი ჰქონდათ. მწვრთნელმა მეორე გაფრთხილებისა და შემდგომში (პლეი ოფში) დისკვალიფიკაციის ასაცილებლად ისინი სათადარიგოთა სკამზე დასვა. უღირსი საქციელის გამო რუუდ ვან ნისტელროის ნაკრებში არ უხმეს. „ნარინჯისფერთა“ ძირითად შემადგენლობაში მარკ ოვერმარსი და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი გამოჩნდნენ, „აიაქსის“ ნახევარმცველმა უესლი სნეიდერმა კი ეროვნული გუნდის მაისურა პირველად მოირგო.

მასპინძლები, ცხადია, უტევდნენ. ჰოლანდიელი გულშემატკივრები ბევრ გოლს ითხოვდნენ, თუმც თითქმის მთელი პირველი ტაიმის მანძილზე ამაოდ ელოდნენ, მეთხუთმეტე წუთზე სტუმრები დაცვაში შეცდნენ, პატრიკ კლუივერტს გატანა შეეძლო, მაგრამ უხეიროდ დაჰკრა. თავის მხრივ მოლდოველელებიც ფაფხურობდნენ, ოღონდ ოდენ მოედნის ცენტრამდე აღწევდნენ.

ტაიმის დასრულებამდე ათიოდ წუთით ადრე ადვოკაატმა რაიციგერი როი მაკაით შეცვალა. შეტევის ხაზის გაძლიერებამ მალე შედეგი მოიტანა. ფლანგიდან ოვერმარსის ჩაწოდებულს კლუივერტმა საგოლედ უთავაზა და ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ უესლი სნეიდერმა დებიუტი გოლით გაილამაზა. აიაქსელმა კლუივერტის პასით შეაგდო, რომლის ნაცვლადაც მოგვიანებით მოედანზე პიერ ვან ჰოიდონკი შევიდა. „ფენერბაჰჩეს“ აყლარწული ლეგიონერი საჯარიმოში დასცეს და ჟელკო სირიჩმა პენალტი დანიშნა. თერთმეტმეტრიანი დარტყმა დაზარალებულმა შეასრულა.

იშტაზე მოსული მასპინძლების შეჩერება მოლდოვამ ველარ შეძლო და ბოლო ათ წუთში კიდევ ორი გოლი გაუშვა. რაფაელ ვან დერ ვაარტმა ჯერ თვითონ გაიტანა, მერეკი რობენსაც გაატანინა.

„მოლდოვა დიდი ანგარიშით დავამარცხეთ, მაგრამ გამარჯვება იოლად არ მოსულა. მე ვგრძნობდი, რომ გულშემატკივარი სანახაობას ითხოვდა, ფეხბურთელებს ამიტომაც ვთხოვე ბოლომდე დახარჯულიყვნენ და ქომაგისთვის ესიამოვნებინათ. ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ განსაკუთრებით ახალგაზრდებს, სნეიდერს და რობენს გამოვარჩევდი“ — თქვა ნამატჩევს დიკ ადვოკაატმა.

**ავსტრია 2:3 ჩეხეთი**

**0:1 იანკულოვსკი (27), 1:1 ჰაასი (51), 2:1 ივანშიცი (77), 2:2 ვახოუშეკი (79), 2:3 კოლერი (90)**
**ავსტრია: მანდლი, შტანდფესტი, შტრანცლი, ჰიდენი, პოგატეცი, აკაგიუნდუზი, შოპი, ფლოგელი (ვაგნერი 67), გლიდერი (დოშპელი 67), ივანშიცი, მ. ჰაასი (ლინცი 76)**
**ჩეხეთი: ჩეხი, პეტროუში, უირანეკი (ტისი 41), გალაშეკი, ბოლფი, იანკულოვსკი (ვორიშეკი 82), ჰაინცი (კოლერი 67), სტაინერი, ნედვედი, ლოკვენცი, ვახოუშეკი**
**გაძევება: შოპი (63)**
**მსაჯი: გეორგიოს კასნაფერისი (საბერძნეთი)**
**32 350 მაყურებელი**

ჩეხებმა წაუგებელ მატჩთა სერია 18-მდე გაზარდეს. კარლ ბრიუკნერის გუნდს ევრო 2004-ის საგზური უკვე განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ვენაში მეზობელ ავსტრიას ქულაც არ გაუყო.

სტუმრებს ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი აკლდათ. მატჩამდე მწვრთნელმა თქვა, მათ ნაცვლად ახალბედებს ვათამაშებ და თავის გამოჩენის საშუალებას მივცემო. ბრიუკნერი არ შემცდარა. მარეკ იანკულოვსკიმ და შტეფან ვახოუშეკმა ეროვნული გუნდის მაისურა შეირგეს და თითო გოლი მიითვალეს.

მნიშვნელოვანი დანაკლისის მიუხედავად, ჩეხებმა პირველ ტაიმში მასპინძლებზე უკეთ ითამაშეს. მეექვსე წუთზე ავსტრიელთა მეკარემ ძლიერად დარტყმული ბურთი ვერ მოიხელთა. მცველებს მარეკ ჰაინცმა დაასწრო, მაგრამ ტომას მანდლის კარი ძელმა იხსნა.

ვლადიმირ შმიცერისა და მილან ბაროშის არყოფნაში ფორვარდობა უდინელმა მარეკ იანკულოვსკიმ იკისრა. სტუმრები მისი გოლით დაწინაურდნენ და დამხვდურნი შესვენებამდე გათანაბრებას ამაოდ ცდილობდნენ.

ავსტრიელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაქვითეს. ჩეხ მცველებს მარიო ჰაასი დაუსხლტათ, რომელმაც მოედნის ცენტრიდან მიღებული ბურთი მოათვინიერა და პეტერ ჩეხსაც აჯობა.

ამ მომენტიდან თამაში გაიხსნა და მეტოქეებმა ერთმანეთს გაავთრებით შეუტიეს. ბრძოლას ერთი კაცი უდროოდ გამოაკლდა. მარკუს შოპი იანკულოვსკის ვერ დაეწია და წესის დარღვევით შეაჩერა. მსაჯმა დამნაშავე მოედნიდან დაითხოვა.

კაცნაკლულმა მასპინძლებმა, მაინც მოახერხეს დაწინაურება. ანდრეას ივანშიცმა პეტერ ჩეხს მეორე გოლი მიართვა, მაგრამ ავსტრიელთა სიხარული ხანმოკლე გამოდგა. შტეფან ვახოუშეკმა ორიოდ წუთში გაათანაბრა. ჩეხები მაღაზე მოვიდნენ და ათკაცა ავსტრის მოსაგებად მიაწვნენ.

ყველგანმქროლავმა პაველ ნედვედმა მარცხენ ფლანგზე ჩაირბინა. საჯარიმოს წინა ხაზთან ბურთი იან კოლერს გაუგორა და დორტმუნდელმა გიგანტმა მანდლს შორიდან გაუტანა.

ნამატჩევს შოპმა თქვა: „ჩვენ ნედვედისა და კოლერის სათამაშო კლასის მსხვერპლნი გავხდით. ისინი პროფესიონალები არიან. ბოლომდე იბრძოლეს და კიდეც იხეირეს“.

ავსტრიამ ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ჰანს კრანკლს კონტრაქტი 2005 წლის დეკემბრამდე გაუხანგრძლივა. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ნაკრებს კვლავ კრანკლი მოამზადებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 8 | 7 | 1 | 0 | 23:5 | 22 |
| ჰოლანდია | 8 | 6 | 1 | 1 | 20:6 | 19 |
| ავსტრია | 8 | 3 | 0 | 5 | 12:14 | 9 |
| მოლდოვა | 8 | 2 | 0 | 6 | 5:19 | 6 |
| ბელარუსი | 8 | 1 | 0 | 7 | 4:20 | 3 |




ჰოლანდია — მოლდოვა. პატრიკ კლუივერტმა (შუაში) თავისი თავით გაიტანა

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## IV ჯგუფი

# არ გჯერათ?

### შვედურ მაგიდაზე ლატვიამ ითამაშა

**შვედეთი 0:1 ლატვია**

0:1 ვერპაკოვსკისი (22)

*ოლბოკმა ვერ გაიტანა პენალტი (87, მეკარე)*

**შვედეთი:** ისაკსონი, ლუკიჩი (დორსინი 46), მელბერგი, მ. სვენსონი, პ. ანდერსონი (ა. იოჰანსონი 81), იაკობსონი, ნილსონი, ა. სვენსონი, კალსტრიომი (იბრაჰიმოვიჩი 64), ოლბოკი, იონსონი

**ლატვია:** კოლინკო, სტეპანოვსი, ასტაფიევსი, ზემლინსკისი, ლობანიოვსი, ბლაგონადეჟდინსი, ზირნისი, ბლეიდელისი, ვერპაკოვსკისი (შტოლცერსი 88), რუბინსი (პუცინსკისი 81), რიმკუსი (ისაკოვსი 74)

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

გაძევება: ზირნისი (73)

32 095 მაყურებელი

**ლატვიამ** გადამწყვეტ მატჩში თავი არ შეირცხვინა. სტუმრად შვედეთს სძლია და მდევრები (უნგრეთი და პოლონეთი) უსაქმოდ დატოვა.

სტოკჰოლმში ალექსანდრ სტარკოვსმა უნგრეთის მომგები შემადგენლობა ათამაშა. შვედებს შესარჩევი ციკლის მატჩი შინ 1997 წლის შემდეგ არ წაეგოთ და ახლა გატყდნენ. ლატვია ბალტიისპირეთის სამეულიდან პირველი გუნდია, პლეი ოფში რომ მოხვდა და ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობის შანსი გაუჩნდა.

ერთადერთი გოლი პირველი ტაიმის შუაწელში გავიდა. მარის ვერპაკოვსკისი და ვიტას რიმკუსი დამხვდურებს თავიდანვე გვარიანად აწუხებდნენ და გარჯა დაუფასდათ. ვერპაკოვსკისმა რიმკუსის პასი მიიღო, ოდნავ მარცხნივ გაიწია და შორეულ კუთხეში ზუსტად დაჰკრა. მოგვიანებით მსგავს პოზიციაში ბლეიდელისი აღმოჩნდა, მაგრამ მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია.

შვედებს შესვენებამდე ღირებული არაფერი გაუკეთებიათ. მეტოქის საჯარიმოში ხშირი ჩაწოდებებით ვერ იხეირეს, რადგან ლატვიელთა მეკარე გამოსვლებზე კარგად თამაშობდა.

მეორე ნახევარში სტუმრებმა ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვა დაიწყეს და დამხვდურებს მოედნის მეტი წილი დაუთმეს. შვედთა შეტევებმა ერთი ლატვიელი „შეიწირა". 72-ე წუთზე ანდრეას სვენსონმა მარკუს ოლბოკი ხელსაყრელ პოზიციაში დატოვა. ოლბოკი ზირნისმა წააქცია, მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და გააძევეს.

კანონიერულ ლატვიელებს მატჩის მიწურულს შეტევების მოგერიება გაუჭირდათ და შვედებმა პენალტი მოინადირეს. ოლბოკი ამჯერად ასტაფიევსმა დასცა. დაზარალებულმა ბურთი კარს ააცილა და ბალტიისპირელთა სიხარულიც უსაზღვრო იყო.

„მე ძალიან ბედნიერი ვარ და ვფიქრობ, გამარჯვება დავიმსახურეთ. ეს მოგება ლატვიური ფეხბურთის პრესტიჟს წაადგება. ჩვენ ისე დიდხანს მივიწევდით ამ წარმატებისკენ, რომ სენსაციურიც კი აღარ მგონია, თუმცა ადვილად დასაჯერებელი ამბავი არაა" — თქვა ალექსანდრ სტარკოვსმა.

**უნგრეთი 1:2 პოლონეთი**

0:1 ნიედზელანი (10), 1:1 საბიჩი (49), 1:2 ნიედზელანი (62)

**უნგრეთი:** კირალი, ბოდოგი, დრაგონერი, ფუზი, იუჰარი, ლიპჩეი (გერა 46), საბიჩი, დარდაი, მ. ფეჰერი (კენეშეი 64), ლისტეში, ბოორი

**პოლონეთი:** დუდეკი, ტ. კლოსი, სობოლევსკი, მიხალ ჟევლაკოვი, რჟასა, ბაკი, შიმკოვიაკი (ლევანდოვსკი 86), კრჟინოვეკი, რასიაკი, მილა (კოსოვსკი 52), ნიედზელანი (საგანოვსკი 87)

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

20 000 მაყურებელი

პოლონელებმა ბუდაპეშტში ამაოდ იწვალეს. უნგრელები დაამარცხეს, მაგრამ ორივე მაინც ჯგუფში ჩარჩა.

ანგარიში მეათე წუთზე გაიხსნა: „გროცლინის" ფორვარდმა, 23 წლის ნიედზელანმა თანაგუნდელის კარგი პასი შეირგო და გაბორ კირალის გაუტანა. გროცლინელმა მეორე ტაიმში კიდევ ერთი მიიტაცა და დუბლი შეასრულა. შეტევებით გართულ მასპინძლებს მეტოქის კონტრიერიში გამოეპარათ. ნიედზელანი მეკარესთან პირისპირ გავიდა და კირალის მეორედაც აჯობა.

უნგრელთაგან საპასუხო იმრე საბიჩის ანგარიშზეა, რომელმაც მეორე ტაიმის დასაწყისში იხეირა, მაგრამ დამხვდურებმა მეტის გატანა ველარ შეძლეს.

**მაშა ხუციშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 8 | 5 | 2 | 7 | 19:13 | 17 |
| ლატვია | 8 | 5 | 1 | 2 | 10:6 | 16 |
| პოლონეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 13 |
| უნგრეთი | 8 | 3 | 2 | 5 | 15:9 | 11 |
| სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 0:30 | 0 |



შვედეთი — ლატვია. ალექსანდრ სტარკოვსმა ლატვია შორს წაიყვანა

## V ჯგუფი

# გერმანია და გერმანული

### ჯერ იყო ისტერია, მერე ფოგთსის მისტერია

**გერმანია 3:0 ისლანდია**

1:0 ბალაკი (9), 2:0 ბობიჩი (59), 3:0 კურანი (79)

**გერმანია:** კანი, ფრიდრიხი, რანი, ვიორნსი, რამელო, ბაუმანი, ჰინკელი, შნაიდერი, ბალაკი, ბობიჩი (კლოზე 70), კურანი (ნოივილი 85)

**ისლანდია:** არასონი, ბიარნასონი, ვიდარსონი, ინგიმარსონი, რ. სიგურდსონი (დადასონი 66), რ. კრისტინსონი, ჰრეიდარსონი, გრეტარსონი, გუდიონსენი, ტ. გუდიონსონი, ჰ. სიგურდსონი (გუნარსონი 80)

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

50 780 მაყურებელი

**შოტლანდია 1:0 ლიტვა**

1:0 ფლეტჩერი (70)

**შოტლანდია:** დუგლასი, მაკნამარა, ნეისმიტი, დეილი, პრესლი, ფერგიუსონი, რაჲ. კამერონი (ფლეტჩერი 66), მილერი (ჰათჩისონი 66), კროუფორდი, მაკფადენი (ალექსანდერი 90)

**ლიტვა:** სტაუჩე, ჟიაუკშტასი, დედურა, ბარასა, რეგელსკისი (ბენიუსისი 87), ცვირგჟდაუსკასი, ვენევიციუსი (მაცულევიჩუსი 82), ბარევიციუსი (ჩესნაუსკისი 46), შკარბალიუსი, რაჟანაუსკასი, პოშკუსი

მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)

50 343 მაყურებელი

მიხაელ ბალაკის, ფრედი ბობიჩის და კევინ კურანის გოლებმა გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა. მათივე გოლების წყალობით კი, ისლანდიელები პლეი ოფშიც ვერ მოხვდნენ: არადა, კუნძულელები სულ რაღაც ერთი თვის წინ ჯგუფში პირველ ადგილზე იყვნენ.

ვერც გერმანელებმა და ვერც ისლანდიელებმა საამმატჩოდ უძლიერესი შემადგენლობები ვერ შეკრიბეს, რისი მიზეზიც გახშირებული ტრავმიანობა გახლდათ. შედეგად, ბუნდესნაკრებში მარჯვენა განაპირა მცველის პოზიციაზე დებიუტი ჰქონდა ანდრეას ჰინკელს. სტუმრებს იმავე პოზიციაზე ჰერმან ჰრეიდარსონის გაყვანა მოუხდათ, ვინაც სერიოზული ტრავმის გამო კარგა ხნის უთამაშებელი იყო.

გერმანელებს პირველ წამებზევე მიეცათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა — არნი არასენმა ბალაკის ვერაგული დარტყმა მოიგერია. მალე არასენმა ჰინკელის არანაკლები დარტყმულიც მოიგერია, მაგრამ მეცხრე წუთზე ბალაკს მაინც დანებდა. ბაიერნელს ფრედი ბობიჩმა ქუსლით უპასა და მანაც არასენს მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

გერმანელებმა ზეწოლა გააძლიერეს და არასენი ციბრუტივით ატრიალეს. ტაიმის შუაწელში ისლანდიელები ოფსაიდის შექმნისას შეცდნენ და მეკარეს ბობიჩი პირისპირ შეატოვეს — არასენმა ფორვარდს აჯობა. ტაიმის ბოლოსკენ კი ოლივერ კანსაც მოუხდა საქმეში ჩაბმა. მან ჯერ ჰრეიდარსონს, მერე კი ჰელგი სიგურდსონს აუღო ძნელი ბურთები. პირველი ტაიმი კი ისევ გერმანელთა იერიშით დასრულდა, რომელშიც არასენმა ამჯერად კევინ კურანის აჯობა.

ისლანდიელებმა მეორე ტაიმი დიდი შემართებით დაიწყეს და ლამის სენსაციაც გამოაცხვეს: ფლანგური ჩაკიდების მერე ჰრეიდარსონმა ბურთს თავი დაჰკრა, გაიტანა და მთელი ისლანდია სიტყვით აღუწერლად გაახარა, მაგრამ... რუსმა არბიტრმა ვალენტინ ივანოვმა საკამათო მიზეზით გოლი გააუქმა და ისლანდიას თავზარი დასცა.

კუნძულელები ეგებ გამკლავებოდნენ კიდეც ბედის ამგვარ ვერაგობას, მაგრამ ერთი წუთიც არ იყო გასული ბობიჩმა კურანის და ბალაკის შემწეობით მეორე გოლი რომ გაიტანა და ისლანდიელებს იმედი საბოლოოდ გადაუწურა.

თუმცა არა, ისლანდიელებს იმედი საბოლოოდ მაშინ გადაეწურათ, გლაზგოში შოტლანდიელებმა ლიტველებს რომ გაუტანეს. ისლანდიელთათვის ეს ყველაფრის დასასრული იყო და საკუთარ კარში მესამე გოლს უკვე ბედშერიგებულები შეხვდნენ.

ახლა წარმოიდგინეთ იმის საპირისპირო განწყობა, რაც ისლანდიაში სუფევდა და სქოთთა სიხარულს მიიღებთ.

მაგრამ სიხარულამდე ნერვიული, ისტერიული 70 წუთი იყო. შოტლანდიელებს უეჭველად უნდა მოეგოთ. ლიტვას არაფერი სჭირდებოდა. და მაინც, პირველ ტაიმში მეტი სახიფათო მომენტი ბალტიისპირელებს ჰქონდათ და წარმოიდგინეთ, სრულიად შოტლანდიის სასოწარკვეთილება და გაავება...

66-ე წუთზე შოტლანდიელთა გერმანელმა მწვრთნელმა კი ბერტი ფოგთსმა მოედანზე დარენ ფლეტჩერი შეუშვა, რომელმაც ოთხ წუთში, როგორც იქნა, ნანატრი გოლი გაიტანა. „მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ეს პირველი ოფიციალური სანაკრებო მატჩი იყო.

„მე მჯეროდა დარენ ფლეტჩერის" — თქვა ნამატჩევს ბერტი ფოგთსმა. გერმანელმა მწვრთნელმა შვებით ამოისუნთქა, ოღონდ დროებით — წინ პლეი ოფია, რომელშიც შოტლანდია ფავორიტად სულაც არ ითვლება.

**ირაკლი ნინიძე**



გერმანია — ისლანდია. მიხაელ ბალაკმა და ფრედი ბობიჩმა ისლანდიურ დაცვას გადაუარეს

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 8 | 5 | 3 | 0 | 13:4 | 18 |
| შოტლანდია | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 14 |
| ისლანდია | 8 | 4 | 1 | 3 | 11:9 | 13 |
| ლიტვა | 8 | 3 | 1 | 4 | 7:11 | 10 |
| ფარერები | 8 | 0 | 1 | 7 | 7:18 | 1 |



დარენ ფლეტჩერი

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## IV ჯგუფი

# საბერძნეთის ბრძენი ოტო

**სომხეთი 0:4 ესპანეთი**

**0:1 ვალერონი (7), 0:2 რაული (76), 0:3, 0:4 რეიესი (87, 90)**

**სომხეთი: ბერეზოვსკი, მელიკიანი, დოხოიანი, ოვსეპიანი, ვარდანიანი, ხაჩატრიანი, ზეკიუ, ვოსკანიანი, სარქისიანი, ართავაზ კარამიანი, არმან კარამიანი**

**ესპანეთი: კასილიასი, სალგადო, პუიოლი, მარჩენა, ალბელდა, ელგერა, ბარახა (ხაბი ალონსო 66), ვისენტე (რეიესი 62), ვალერონი, რაული (ლუკე 78), ეჩებერია**

**მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)**

**15 000 მაყურებელი**

**მიუხედავად იმისა**, რომ ესპანეთის ნაკრებმა ევრო 2004-ის მე-6 ჯგუფის ბოლო ტურის შეხვედრაში სომხეთის ნაკრები სტუმრად 4:0 დაამარცხა, პორტუგალიის საგზური მაინც ოტო რეჰაგელის საბერძნეთს ერგო. ელინებმა ჩრდილოეთ ირლანდიას — 1:0 სძლიეს და ინაკი საესის ლუზიტანიაში უპლეიოფოდ მოხვედრაზე ოცნებას ბოლო მოუღეს (ესპანელთა დამრიგებელს ათენური საოცრების იმედი ჰქონდა, ეგონა, ბერძნები ვერ მოიგებდნენ). ასეა თუ ისე, ესპანელებს კვლავაც მოუწევთ ლისაბონში წასასვლელად ოფლის ღვრა, რამეთუ ჯგუფში ოდენ მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ერევნის მატჩში კი მოწინააღმდეგეთა ძალთა განლაგება აშკარად უთანასწორო გახლდათ. მართალია, სომხები საბრძოლო ოპტიმიზმს არ მოისაკლისებდნენ (შაბათის თამაშამდე მათი მწვრთნელი რუმინელი სტოიჩიტა პირენეელებთან გამარჯვებას სერიოზულად გეგმავდა), მაგრამ სტუმართა უპირატესობა მელევე გამოიკვეთა. ეანგარიში სწრაფად გაიხსნა. მე-8 წუთზე ხუან პაბლო ვალერონმა ეჩებერიას კუთხურით იხეირა და — 1:0. მიუხედავად ესპანელთა მძლავრი ზეწოლისა, სომხებიც რამდენჯერმე შეეცადნენ. იკერ კასილიასი შეეწუხებინათ, მაგრამ უშედეგოდ. ყველაზე გამორჩეული ამაფგან არტურ ვოსკანიანის შორეული დარტყმა იყო, რომელმაც სტუმართა კარის ძელს ოდენ გარედან ჩაუფრინა. მეორე ტაიმში სიტუაცია არ შეცვლილა — 16 ათასი ადგილობრივი ნაღვლიანი ფანის თვალწინ ინაკი საესის ნაკრებმა მოედნის სრული ბატონ-პატრონობა შეინარჩუნა. რაულმა და შემდეგ შეცვლაზე შესულმა რეიესმა კიდევ 3 ბურთის გატანა მოახერხეს და სტოიჩიტას ბიჭებიც ევროპულ გრანდთან მარცხს შეურიგდნენ. „ვწუხვარ, რომ ამ მოგებით ჯგუფის პირველ ადგილზე ვერ გავედით, თუმც ევროპის ჩემპიონატის გარეთ დარჩენას ჩვენ ნამდვილად არ ვაპირებთ" — განაცხადა ნამატჩევს ინაკი საესმა.

**საბერძნეთი 1:0 ჩრდ. ირლანდია**

**1:0 ცარტასი (69პ)**

**საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, ფისასი, დაბიზასი (ნიკოლაიდისი 46), დელასი, ბასინასი (ზაგორაკისი 90), ანცასი, ვრიზასი, ხარისტიასი (ვენეტიდისი 46), ცარტასი, იანაკოპულოსი**

**ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, ბაირდი, კენედი, მაკკარტნი, ა. ჰიუზი, გრიფინი (ჯოუნსი 88), გილესპი (ჯ. სმიტი 64), უიტლი, ჰილი, მ. ჰიუზი, ელიოტი (მერდოკი 70)**

**გაძევება: მაკკარტნი (68)**

**მსაჯი: ლუსილიუ კარდოზო კორტეს ბატისტა (პორტუგალია)**

**15 500 მაყურებელი**

24-წლიანი შესვენების შემდეგ საბერძნეთის ნაკრებს კვლავაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვიხილავთ. შაბათს, 11 ოქტომბერს, ათენურ „აპოსტოლოს ნიკოლაიდისის" სტადიონზე მასპინძელთა გუნდმა ჯგუფის აუტსაიდერი ჩრდილოეთ ირლანდია დაამარცხა და ევრო 2004-ზე პირდაპირ (პლეი ოფების გარეშე) გამგზავრების უფლება მოიპოვა. სემი მაკილროის ირლანდიამ კი კიდევ ერთხელ „მოახერხა" მატჩი უგოლოდ ჩაამთავრა. „ნიკოლაიდისის" პირველი ტაიმი ნელ ტემპში წარიმართა. ბერძნებს სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ და ტეილორის კართან სახიფათოსაგოლე ეპიზოდებიც რამდენჯერმე შექმნეს. 24-ე წუთზე ხარისტიასის დარტყმა ირლანდიელთა გოლკიპერმა კუთხურზე მოიგერია, ხოლო შემდეგ ცარტასის გასროლილის უკუგდებაც შეძლო. გამარჯვების გოლი კი მეორე ტაიმში შემდეგ თერთმეტმეტრიანით გავიდა — მაკარტნიმ ვრიზასი დასცა და ექსსევილიელმა ვასილის ცარტასმა ერთი მომგებიანი დარტყმით მშობლიური ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე, ესპანეთი კი პლეი ოფში ნორვეგიასთან საჭიდაოდ გაამწესა. მიუხედავად ამისა, „აპოსტოლოს ნიკოლაიდისზე" შეკრებილ გულშემატკივრებს მცირედი გულის ხეთქვა მაინც მოუწიათ — მატჩის მიწურულს სმიტმა სახიფათოდ დაარტყა, თუმც არაზუსტად და საბოლოოდ იქაურმა ტაბლომაც ელინთა დიდი გამარჯვება დააფიქსირა. „დღეს მეტოქეზე უკეთ ვითამაშეთ. პორტუგალიაშიც განა მარტო მონაწილეობის მისაღებად წავალთ, იქ ჩვენთვის მთავარი მომგებიანი შედეგის მიღწევა იქნება" — იმედიანად განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბერძენთა გამარჯვების სულისჩამდგმელმა ოტო რეჰაგელმა.

**ლადო ხომერიკი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 8 | 6 | 0 | 2 | 8:4 | 18 |
| *ესპანეთი* | 8 | 5 | 2 | 1 | 16:4 | 17 |
| უკრაინა | 8 | 2 | 4 | 2 | 11:10 | 10 |
| სომხეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:16 | 7 |
| ჩრდ. ირლანდია | 8 | 0 | 3 | 5 | 0:8 | 3 |



REUTERS

ვასილის ცარტასის საპორტუგალიო გოლი

## IX ჯგუფი



REUTERS

კრისტიან ვიერიმ მოედანზე აზერბაიჯანელები არ დაინდო, მოედნის გარეთ თავისიანები

# ჩაუთვალეთ ვიერის გოლი!

**იტალია 4:0 აზერბაიჯანი**

**1:0 ვიერი (16), 2:0 ინძაგი (24), 3:0 დი ვაიო (65), 4:0 ინძაგი (88)**

**იტალია: ბუფონი, ოდო, ნესტა (ფერარი 77), კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი (გატუზო 87), კ. ძანეტი, პეროტა, ტოტი, ვიერი (დი ვაიო 55), ფ. ინძაგი**

**აზერბაიჯანი: კრამარენკო (ჰასანზადე 56), აგაევი, კერიმოვი, იმამალიევი, ე. გულიევი, კ. გულიევი, მ. გურბანოვი (მამედოვი 84), ტაგიზადე (ვასილიევი 74), იადულაევი, სადიგოვი, ალიევი**

**მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)**

**30 000 მაყურებელი**

**უელსი 2:3 სერბეთი**

**0:1 ვუკიჩი (4), 1:1 ჰარტსონი (26პ), 1:2 მილოშევიჩი (82), 1:3 ლიუბოია (87), 2:3 ერნშოუ (90)**

| 23.45 | 266 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 267 | სპორტინგი-ბეირა მარი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. VIII ტური** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 280 | აიაქსი-ვოლენდამი | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 281 | აიაქსი-ვოლენდამი 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 282 | როზენდალი-ტილბურგი | 2,2 | 3,4 | 2,9 | 1,33 | 1,25 | 1,56 |
| 22.30 | 283 | პსვ-ჰერენვენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 284 | პსვ-ჰერენვენი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 23.00 | 285 | ვალვაიკი-ვიტესი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.30 | 286 | როდა-ფეიენოორდი | 3,0 | 3,4 | 2,15 | 1,59 | 1,25 | 1,31 |
| 17.30 | 287 | ნაიმეგენი-ბრედა | 2,0 | 3,4 | 3,3 | 1,25 | 1,24 | 1,67 |
| 17.30 | 288 | უტრეხტი-ალკმაარი | 2,4 | 3,3 | 2,45 | 1,38 | 1,21 | 1,4 |
| 17.30 | 289 | ზვოლე-დენ ჰააგი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 17.30 | 290 | ტვენტე-გრონინგენი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. X ტური** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 291 | დენ ბოსხი-დორდრეხტი | 1,35 | 4,4 | 6,5 | 1,03 | 1,11 | 2,62 |
| | 292 | დენ ბოსხი-დორდრეხტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. IX ტური** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 304 | შარლერუა-ანდერლეხტი | 7,0 | 4,2 | 1,4 | 2,62 | 1,16 | 1,04 |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 305 | ბეერსხოტი-ბევერენი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 23.00 | 306 | ლოკერენი-ჰეუსდენი | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |
| 23.00 | 307 | მუსკრონი-სტ.ტრუიდენი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 23.00 | 308 | სტანდარდი-გენტი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 23.00 | 309 | მონსი-ანტვერპენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 23.00 | 310 | ბრიუგე-ვესტერლო | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 311 | ბრიუგე-ვესტერლო 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 312 | გენკი-სერკლი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 313 | გენკი-სერკლი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 22.30 | 314 | ლიერსი-ლუვეე | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.30 | 327 | ადმირა-რაპიდი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 18.30 | 328 | ზალცბურგი-პაშინგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 329 | შტურმი-ბრეგენცი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.30 | 330 | კერნტენი-მატერსბურგი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.30 | 331 | აუსტრია-გრაცერი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 332 | აუსტრია(ლ)-უნტერზიბენბრიუნი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 22.00 | 333 | ბლაიბერგი-ტიროლი | 3,5 | 3,3 | 1,85 | 1,69 | 1,21 | 1,18 |
| 22.00 | 334 | კაფენბერგი-ლეობენი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 22.00 | 335 | ლინცერი-ლუსტენაუ | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 22.00 | 336 | ვიორგლი-რიდი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 344 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| | | **დანია. სუპერლიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 345 | ფრემი-ნორდსიელანდი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 346 | ვიბორგი-ესბიერგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 18.00 | 347 | ორჰუსი-ბრიონდბიუ | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 18.00 | 348 | აკადემისკი-ოლბორგი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 18.00 | 349 | მიდტიულანდი-ჰერფიოლგე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 20.35 | 350 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.30 | 393 | ჰამარი-მოსი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.30 | 394 | იორნი-ჰაუგესუნდი | 3,5 | 3,8 | 1,7 | 1,82 | 1,14 | 1,17 |
| 21.00 | 395 | სტარტი-სკეიდი | 2,05 | 3,6 | 2,8 | 1,3 | 1,18 | 1,57 |
| | | **უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 661 | ტორპედო-ცსკა | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 20.00 | 662 | ჰაპოელი(თ.ა.)-გაზიანთეპი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.30 | 663 | ლევსკი-ჰაპოელი(რ-გ) | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 20.30 | 664 | გროცლინი-ჰერტა | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 20.30 | 665 | ჰაიდუკი-გრასჰოპერი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 21.00 | 666 | დნეპრო-ჰამბურგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 21.00 | 667 | დებრეცენი-ვარტეკსი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 21.00 | 668 | ესბიერგი-სპარტაკი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 21.00 | 669 | გრაცერი-ვოლერენგა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 21.00 | 670 | ნორდსიელანდი-პანიონიოსი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 21.00 | 671 | ჟილინა-უტრეხტი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 21.00 | 672 | შახტარი-დინამო(ბქ) | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 21.00 | 673 | სლავია-სარტიდი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 21.00 | 674 | ვარდარი-რომა | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 21.30 | 675 | რუზენბორგი-ვენტსპილსი | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| 21.30 | 676 | არისი-ზიმბრუ | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 21.45 | 677 | სტიაუა-საუთჰემპტონი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 21.45 | 678 | პეტრჟალკა-ბორდო | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,65 | 1,26 | 1,21 |
| 22.00 | 679 | ტრაბზონი-ვილიარეალი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.00 | 680 | პუბლიკუმი-მაკაბი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 22.00 | 681 | ლინი-პაოკ | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 22.00 | 682 | მოლდე-ლეირია | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 22.15 | 683 | სოშო-მიუპა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 22.30 | 684 | ბაზელი-მალათია | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.05 | 685 | კოპენჰაგენი-ფერენცვაროში | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 23.15 | 686 | ცრვენა ზვეზდა-ოდენსე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 23.15 | 687 | ქსამაქსი-ოსერი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.15 | 688 | ჟელეზნიჩარი-პართსი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 23.15 | 689 | მტკ-დინამო(ზ) | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 23.15 | 690 | ბრედა-ნიუკასლი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1,24 |
| 23.15 | 691 | მალმიო-სპორტინგი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.30 | 692 | პერუჯა-დანდი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.30 | 693 | ნაიმეგენი-ვისლა | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 23.30 | 694 | ლოკერენი-სიტი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 23.30 | 695 | დორტმუნდი-აუსტრია | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 23.45 | 696 | უდინეზე-ზალცბურგი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 697 | ლანსი-ცემენტარნიცა | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| 23.45 | 698 | პარმა-მეტალურგი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 24.00 | 699 | ლივერპული-ოლიმპია | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| 24.00 | 700 | მალიორკა-აპოელი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 00.15 | 701 | ბლექბერნი-გენჩლერბირლიგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 00.15 | 702 | ვალენსია-აიკ | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 00.30 | 703 | ბარსელონა-პუხოვი | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| 01.00 | 704 | ბენფიკა-ლუვეე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 705 | ჟიჩკოვი-ბრიონდბიუ | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.30 | 706 | ტეპლიცე-კაიზერსლაუტერნი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 23.30 | 707 | შალკე-კამენი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.30 | 708 | კერნტენი-ფეიენოორდი | 3,3 | 3,3 | 2,05 | 1,65 | 1,26 | 1,26 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სტეფანია რაჭველი არაა

## მაიამელი ქართველი მაიამიში ხორვატიის გავლით მიდის

**ვლადიმერ სტეფანიას გაჯანჯლებულ ტრანსფერს საშველი დაადგა... თუმც რეალურად ახლა იწყება ყველაფერი, რადგან „მაიამი ჰითის“ ყოფილი ცენტრი რომ ხორვატიის საშუალო დონის გუნდში არ ითამაშებს, ცხადზე უცხადესია. სწორედაც ხორვატიაში! ვლადიმერ სტეფანიას აგენტმა მარკ ფლეიშერმა სპლიტის „ჰაიდუკთან“ შეთანხმებას მიაღწია, მაგრამ ეს ჯერაც ხელმოუწერელი კონტრაქტი რომ, ნბა-ს კლუბთან კონტრაქტის გასაჩარხად შეიქმნა, თავად სტეფანიამაც გვითხრა გუშინ სატელეფონო საუბრისას.**

საქმე კი ასეა: „მაიამის“ რომ სტეფანიას შენარჩუნება სურს, ძველი ამბავია, მაგრამ მთელი სახელფასო ფონდი სხვა კალათბურთელებისთვის შეულევია და ქართველს ახლა ოდენ ვეტერანის მინიმუმს, 751 ათასს თუ შესთავაზებს, სტეფანიას კი მაიამელებისთვის აგვისტოში 3 მილიონზე უთქვამს უარი და ასე მცირე თანხაზეც, ცხადია, არ თანხმდება. ხორვატიული კლუბიც იმიტომ ჩაერთო (ჩართეს) საქმეში, რომ სტეფანიასთვის სატრანსფერო თანხის ხელოვნურად გაზრდა მოხერხდეს და ეს იცის სამივე მხარემ — „მაიამიმ“, „ჰაიდუკმა“ და ფლეიშერ-სტეფანიამ.

თანხის გაზრდა კი ასე მოხდება: როგორც ცნობილია, ახალწვეულის უცხოურ გუნდთან არსებული კონტრაქტი ნბა-ს კლუბმა უნდა გამოისყიდოს მაქსიმუმ 350 ათას დოლარად, ხოლო კონტრაქტთა გამოსასყიდი თანხა სახელფასო ფონდის დავთრებში, ასე ბოლო ცენტამდე რომ დაუცარიელებიათ მაიამელებს, არ აღირიცხება. ასე რომ, თუ სტეფანია „მაიამიში“ დარჩა, ვეტერანის მინიმუმს დამატებულ „ჰაიდუკისგან“ გამოსასყიდ თანხას — ჯამში 1,111 მილიონს მიიღებს.

ეჭვი არაა, რომ ეს კონტრაქტი მხოლოდ „მაიამისთვის“ გაიშანსა, რადგან ამ კლუბმა სასურველი მოთამაშე შეინარჩუნოს, თავად კალათბურთელმა კი მაქსიმალურად მეტი ხელფასი აიღოს.

მეორე მხრივ, „ხორვატიული“ კონტრაქტის არსებობა ვოვას ნბა-ს სხვა კლუბებსიკენ უმრუდებს გზას, რადგან მის ამყვან გუნდს გამოსასყიდის გალებაც მოუწევს ქართველისთვის მისაცემ ხელფასთან ერთად. ესეც გაუთვალისწინებია ოღრაშ მარკ ფლეიშერს, „ხორვატიული“ კონტრაქტი ხომ ფაქტობრივად არ არსებობს, სანამ მას ხელს თავად კალათბურთელი არ მოაწერს. ანუ სტეფანიას ჰაიდუკური ხელშეკრულება „მაიამის“ სალაროებში არსებული თანხის გასათეთრებლადაა გამოგონილი, რომელიც იმ შემთხვევაში შევა ძალაში, თუ, როგორც ზემოთ ვთქვით, სტეფანია და „მაიამი“ თანამშრომლობას საბოლოოდ გადაწყვეტენ. ამას ადასტურებს თავად ფლეიშერი ფლორიდულ გაზეთ „სან-სენტინელთან“ საუბრისას: „კონტრაქტი ისეა შედგენილი, რომ სტეფანიას უფლება აქვს, როცა უნდა, მაშინ მობრუნდეს ნბა-ში და კონკრეტულად „მაიამიში“. მას შეუძლია, ეს ხვალვე გააკეთოს, ანაც ერთი, თუნდაც ექვსი თვის შემდეგ. ეს უბრალოდ იმის საშუალებას გვაძლევს, რომ პატარა ფული გავაკეთოთ“.

„ხორვატიული სცენის“ გათამაშების მიუხედავად, ჯერ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი, სტეფანიას „მაიამიში“ დარჩენა. გუშინ რომ მას დავუკავშირდით, შინ იჯდა და პატ რაილის შტაბიდან ზარს ელოდა.

— ფლორიდულ გაზეთებში დაიწერა, რომ ხორვატიულ „ჰაიდუკთან“ მიაღწიე შეთანხმებას. ნუთუ მართლა აპირებ ევროპაში მობრუნებას?

— ეს იმიტომ გავაკეთე, რომ ფორმაში ვიყო, ვივარჯიშო.

— ჩვენ კი გავიგეთ, რომ ეს კონტრაქტი საიმისოდ შეიქმნა, რომ მაიამელთაგან, რომელთაც სახელფასო ფონდი ამოეწურათ, მეტი ხელფასი მიიღო...

— ჰო, ეგრეცაა. ახლა სწორედ მაიამელთა ზარს ველოდები, ვნახოთ, ყველაფერი დღეს-ხვალ უნდა გადაწყდეს.

— აქამდე რატომ გაგიჯანჯლდა საქმე? გავიგეთ, შენი ძველი აგენტი გიშლის ხელს, „ატლანტასთან“ ხელმოსაწერად გამზადებული კონტრაქტიც თითქოს მან ჩაგიშალა, სტეფანიას ფეხი აწუხებსო, უთქვამს...

— რა ვიცი, ეგებ მასეც იყოს. ჩემს ძველ მენეჯერს ფლეიშერი ვამჯობინე და, ცხადია, ახლა გულზე არ ვეხატები, მაგრამ არა მგონია, ასე გამოედო თავი.

— ბოლოს და ბოლოს, რჩები „მაიამიში“?

— მეც ეგ მაინტერესებს და მალე შევიტყობ.

**ირაკლი პერტაია**

# საქართველოს ჩემპიონატი

## ერთი მეოთხედის მატჩები და საჩუქარი

შაბათს ვერის ბაღში რომ მივდიოდი, ვიცოდი, „სტუ-ჯეოსელი“ სსუ-ს მოუგებდა, თსუ კი — „ქუთაისს“, მაგრამ მეტი რა გზა იყო, პროფესია მავალდებულებდა. ნეტავ, იმ ხალხს რაღა რჯიდა, ამ უინტერესო მატჩების სანახავად რომ მოვიდა? ალბათ, კალათბურთის, თუნდაც უღონოს, ალალი სიყვარული. ასეთი კი არც ისე ბევრია დღეს თბილისში და ამიტომაც ვერის ბაღშიც სულ თითებზე დაითვლიდით მაყურებელს.

თუმცა „თუნდაც უღონო და უღონო კალათბურთის“ გულშემატკივართ ჩაროზად ამ მატჩების მცირე ინტრიგაც ერგოთ, რომელიც საწყის მეოთხედებში იხილეს. თავიდან ქუთაისელები თსუ-ელებს გაუჯიუტდნენ და არაერთხელ უკანაც მოიტოვეს. ნალჩიკიდან მობრუნებული ზურაბ ბადრიძე არაფრით ეპუებოდა სტუდენტთა უკანახაზელებს. გიორგი პირტახიამაც არ მოუხარა ქედი მეტოქეს და მეორე ათწუთეულის პირველ წუთებშიც კი თანაბარი იყო ანგარიში.

მატჩს ესწრებოდა თსუ-ს „ფინანსური გარანტი“ თემურ ჭყონია, რომელმაც მალევე იხილა სტუდენტების რეალური ძალა. გია ჯავახიშვილის ბიჭებმა სამწუთიანი ელეთმელეთი მოუწყვეს ქუთაისელებს და ტაიმის ბოლოს უკვე 20 ქულით გაიჭრნენ... თამაში „გაკეთებული“ იყო და სტუდენტებმაც თავი აღარ გამოიდეს, მშვიდად და აუღელვებლად მივიდნენ გამარჯვებამდე.

მეორე მატჩი, სტუ-სსუ უფრო მხურვალედ დაიწყო. სოხუმელებს თითქოს ცეცხლი ეკიდათ, მეტეორებივით დაჰქროდნენ. ტექნიკოსები ნაღდად არ ელოდნენ, აუტსაიდერები ასეთი ეშხით თუ შეუდგებოდნენ საქმეს და სანამ მეტოქის თამაშს ალღო აუღეს, საგრძნობლად ჩამორჩნენ — 11:18.

სოხუმელთა მწვრთნელ ვაჟა კვარაცხელიას შაბათს დაბადების დღე ჰქონდა და ბიჭებს თუ მოგებით ვერა, ჯიგრიანი თამაშით მაინც უნდოდათ მისი გახარება, რაც პირველ მეოთხედში ნაღდად გამოუვიდათ.

ტექნიკოსებმა მაინც მოახერხეს პირველი ათწუთეულის მოგება, მერე კი ზვიად ბაბიაშვილმა სოხუმელთა სამწამიანი გაიგემრიელა და ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმაც 44 (!) ქულა მოიხვეჭა მეორე მეოთხედში, რითაც სოხუმელებს აგრძნობინა, ამაოდ გვექაჩებოდითო.

საბოლოოდ სტუ-მ საამჩემპიონატოდ სარეკორდო 125 ქულა მოაგროვა, თუმცა სოხუმელებმაც არ მოქაფეს ცოტა (92), გახსნილი თამაში იყო და იმიტომ.

**ირაკლი პერტაია**



სსუ — სტუ. ვერის ბაღის საშაბათო ბრძოლები მალევე ჩაცხრა

**11 ოქტომბერი. ვერის ბაღი**

**თსუ 90:71 ქუთაისი**

19:18, 31:12, 18:18, 22:23

თსუ: თორთლაძე (13), მაისურაძე (5), ვეფხვაძე (8), კილაძე (13), შენგელია (19), სანიკიძე (10), ორმოცაძე (6), ფანჩულიძე (8), ლეჟავა (8)

ქუთაისი: აკოლაშვილი (12), კორძაძე (4), ცერცვაძე (7), ნ. შანიძე (5), ნიჟარაძე (2), პირტახია (16), ბადრიძე (21), შავლაყაძე (4), მამისეიშვილი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**სსუ 92:125 სტუ**

24:22, 44:17, 25:27, 32:26

სსუ: სორდია (25), ერქვანია (15), ონიკაშვილი (10), აბულაძე (20), ლუკავა (9), პატარაია (2), ზანგურაშვილი, ფარღალავა (4), კანკია (7)

სტუ: ნიკოლაძე (25), ბაბიაშვილი (35), დავითულიანი (8), ახალკაცი (14), მარკოიშვილი (10), მიქაძე (8), ლაფანაშვილი (4), ოგანესიანი, ქისტაური, ლ.შანიძე (21)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 3 | 2 | 1 | 255:212 | 5 |
| თსუ | 3 | 2 | 1 | 248:249 | 5 |
| ბასკო | 3 | 2 | 1 | 288:223 | 5 |
| დინამო | 2 | 2 | 0 | 189:115 | 4 |
| სტუ | 2 | 2 | 0 | 238:172 | 4 |
| მაკაბი | 3 | 1 | 2 | 248:289 | 4 |
| ქუთაისი | 4 | 0 | 4 | 284:401 | 4 |
| სსუ | 2 | 0 | 2 | 145:234 | 2 |

მთამსვლელობა

# ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ღრუბლებიდან გადმოიხედეს

**იტალიელი** სამთომოთხილამურე მანუელა დი ჩენტა ამ გაზაფხულზე ევერესტზე ავიდა და გახდა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, ვინც დედამიწის უმაღლესი მწვერვალიდან გადმოიხედა. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო და ჩვენმა ვეტერანმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე ვახტანგ ბლაგიძემ და ძიუდოისტმა შოთა ხაბარელმა შაბათს, 11 ოქტომბერს ღრუბლებს ზემოდან გადმო-გადმოხედეს რუსეთისა და საქართველოს სივრცეებს გახედეს. ეს მოხდა ყაზბეგის რაიონში, ხდის ხეობის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე, რომელსაც „საქართველოს ოლიმპიელი“ უწოდეს. ისინი დაახლოებით 4000 მეტრის სიმაღლის მწვერვალზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრადიციული ალპინიადის მონაწილეთა ერთ-ერთი თერამეტკაციანი ჯგუფის წევრებთან ერთად ავიდნენ.

უნივერსიტეტელთა ამ საიუბილეო მე-60 ალპინიადას, ისე როგორც უსახელო მწვერვალზე ასვლას, ხელმძღვანელობდა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი შოთა მირიანაშვილი. სწორედ მისი იდეა იყო, რომ კავკასიონის ამ მწვერვალზე ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონების მონაწილეობით ასულიყვნენ და „საქართველოს ოლიმპიელი“ ეწოდებინათ, რაც ოლიმპიური ფესტივალის პროგრამით ქართული ალპინიზმის ამ საიუბილეო 80 წლისთავზე განხორციელდა კიდეც.

ლაშქრობის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ჩვენი ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, რომლის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ასევე დალაშქრა მწვერვალი.

ამ ასვლის თაობაზე დაწვრილებით „სარბიელის“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

# RUGBY WORLD CUP 2003

აცსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

## საქართველო 6:84 ინგლისი

12 ოქტომბერი. პერთი. «სუბიაკო ოვალი»

# ჯენტლმენებმა ვაჟკაცობა დააფასეს

### ღირსეულად განადგურებულ ქართველებს ინგლისმა ქუდი მოუხადა

საქართველო: ხამაშურიძე (ხეხელაშვილი), ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, ი. გიორგაძე, კაცაძე (კაპ), ჯიმშელაძე (კვირიკაშვილი), აბუსერიძე, ჩხაიძე (მაჩხანელი), იაშვილი (ბოლღაშვილი), ლაბაძე, დიდებულიძე (ნადირაძე), მჭედლიშვილი, მარგველაშვილი (ნიკოლაენკო), ა. გიორგაძე (დადუნაშვილი), შველიძე
2ს: ურჯუკაშვილი, ჯიმშელაძე

ინგლისი: ლუისი, რობინსონი, გრინვუდი, ტინდალი (ლუგერი), კოენი, უილკინსონი (გრეისონი), დოუსონი (გომარსალი), დალალიო, ბეკი, ჰილი (ლეონარდი), კეი, ჯონსონი (კაპ), ვიკერი, ტომპსონი (რეგანი), ვუდმენი
12ლ: ტინდალი, დოუსონი, ტომპსონი, ბეკი, დალალიო, გრინვუდი (2), რეგანი, კოენი (2), რობინსონი, ლუგერი; 9გ: უილკინსონი (5), გრეისონი (4); 2ს: უილკინსონი



უილ გრინვუდი ახტა, დახტა და ბორჯღალოსნების ლელოში ჩახტა

ბორჯღალოსნებმა მსოფლიოს თასზე თავიანთი ანგარიში ინგლისთან მოსალოდნელი განადგურებით გახსნეს. გაგვიხარდეს თუ არა მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებთან 78-ქულიანი მარცხი? ბორჯღალოსნებს არავისთან წაუგიათ ამხელა სხვაობით, მაგრამ მეორე მხრივ, არც ასეთ მეტოქეს დასჯახებიან ოდესმე.

თუ ინგლისელებს ავყვებით — მოთამაშეებსაც და მოლაპარაკეებსაც — ჩვენთვის ისტორიულ მატჩში სარეკორდოდ განადგურების შემდეგ ოპტიმისტურად უნდა განვეწყოთ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ 12 ლელო გაუშვეს და ერთიც ვერ გაიტანეს, ქართველებმა გამოავლინეს მებრძოლი სული და მრისხანე მეტოქეს „მხოლოდ" სარაგბო ოსტატობაში ჩამორჩნენ. ერთი სიტყვით, საშუალება გვეძლევა, ხასიათისა და განწყობის მიხედვით მედლის ორი მხარიდან ერთ-ერთი ამოვარჩიოთ — ნათელი ან ბნელი.

ინგლისელები კი უშურველად გვაქებენ:

კლაივ ვუდვორდი, „ვარდების" თავკაცი: „ჩემი აზრით, საქართველო ფანტასტიკური იყო. ინგლისმა დიდი გამოცდილება შეიძინა. ეს სწორედ ისეთი თამაში იყო, როგორიც სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრამდე გვჭირდებოდა. მე ვფიქრობ, ქართველები ურუგვაელებზე ერთი თავით მაღლა დგანან."

მარტინ ჯონსონი, „ვარდების" კაპიტანი: „ჩვენ გვჭირდებოდა ასეთი მატჩი. ეს ჯეელები ძალიან ფიზიკურ რაგბის გვეთამაშნენ."

ტარკინ პონსენბი-პრატი, ინგლისელი მესვეტე: „ქუდები უნდა მოვუხადოთ ამ უკრაინელ თუ ჯორჯიელ ბიჭებს — არა აქვს მნიშვნელობა — ისინი არ გამოდგნენ სოფლელი ხიხოები და ჩვენი ხორცისმჭამელები აიძულეს, ემუშავათ საკუთარი ფულისთვის."

ერთი სიტყვით, ორიოდ წლის წინ „ხალხში გარეული" ქართველობა ჩვენს მიმართ აშკარად სიმპათიით განწყობილმა ინგლისელებმა ენით უფრო დაგვზოგეს, ვიდრე მოედანზე.

ხოლო მოედანზე რაც ხდებოდა, ყველამ ვნახეთ. „ვარდებმა" ბორჯღალოსანთა უპანიკო დაცვის გამო 14 წუთი მოანდომეს პირველი ლელოს გატანას — თანაც ჯონი უილკინსონის საჯარიმოს წილ მახო ურჯუკაშვილის საჯარიმო მიიღეს. ბორჯღალოსნები ხუთი წუთის განმავლობაში 3:3 ანგარიშით ეთამაშნენ ინგლისს. მერე კი „ვარდების" შუამარბმა მაიკ ტინდალმა ჯონი უილკინსონის იდეალური პასი შეირგო და პირველი ლელო დადო.

ინგლისმა კიდევ 11 ლელო გაიტანა, რაც ბორჯღალოსნებისთვის ახალი ანტირეკორდია (ძველი ირლანდიასთან 10 ლელო იყო). თავად ქართველებმა კი ხეირიანი შეტევა ერთხელ გამართეს, კედელივით მეტოქეზე შუბლით მიუშვეს ახალი კაპიტანი ვასო კაცაძე. შემდეგ ეს შეტევა გია ლაბაძემ გააგრძელა და ერთ მეტოქეს კარგადაც აუარა გვერდი, თუმც შემდეგ, როცა გამოცდილ თანაგუნდელებს ახალგაზრდა გიორგი ჩხაიძე წამოეშველა, ბურთი უკვე ინგლისს დარჩა. ერთხელაც გარემარბმა მახო ურჯუკაშვილმა სცადა თავის კიდეზე გაქცევა, მაგრამ ზორბა ბენ კოენმა ბალღივით გადადენა მოედნიდან.

ბორჯღალოსნებს ლელომდე ხელი არ მიუწვდათ, თუმც კიდევ ერთი ჯარიმის გატანა კი მოახერხეს. ამჯერად ანგარიშის შეცვლის შანსი პალიკო ჯიმშელაძემ გამოიყენა, როცა საჯარიმო ზუსტად შეასრულა.

ნამატჩევს ქართველთა ბანაკი მთლად მხიარულებაში არ გადაშვებულა, თუმც საზეიმო განწყობა მაინც იგრძნობოდა. საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა იმ დღეს დიადი უწოდა და თქვა, ამიერიდან ჩვენ ბევრს ვიმუშავებთ, რათა საქართველო მსოფლიოს ყოველ თასზე მოხვდეს და სარაგბო ქვეყნად იქცესო.

ჩვენი მომავალი მეტოქე კი პატარა კუნძულ სამოას საშუალო ან ცოტა ძლიერი ნაკრებია, რომელსაც ბორჯღალოსნები მომავალ კვირადღეს ერკინებიან. ქართველები ემზადებიან მეორე ვაჟკაცური მარცხისთვის და შიგადაშიგ მეტოქისკენ მოზომილ მუქარასაც გზავნიან.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ნამატჩევს



*ნამატჩევს ბორჯღალოსნების ფრანგ მწვრთნელ კლოდ სორელს შევეხმიანეთ და კომენტარი ვთხოვეთ*

— დიდი ანგარიშით მარცხის მიუხედავად, ბიჭებით კმაყოფილი ვარ. ნაკრებს მაღალი დონის მატჩების ჩატარება ესაჭიროება. საქართველოსთვის ასეთი დონის ნაკრებთან თამაში ძალიან დიდი გამოცდილებაა. ისე კი, რა თქმა უნდა, ძალიან რთული მატჩი იყო. ბევრი ბურთი დავკარგეთ. შეტევაში საერთოდ არ გვითამაშია. არადა, ასეთი კლასის გუნდთან ორი ტაიმის განმავლობაში დაცვის თამაში ძალიან ძნელია. ინგლისელებმა ძალიან სწრაფი ტემპი შემოგვთავაზეს, რასაც მხოლოდ 15 წუთი გავუძელით.

**— მატჩის წინ ბიჭებს კონკრეტულად რა დავალება მიეცით?**

— თამაშამდე ოთხი-ხუთი საათით ადრე ძალიან გაწვიმდა, ამიტომაც გადავწყვიტე, ფეხით გვეთამაშა იმის იმედით, რომ მოწინაალმდეგე სველი ბურთით შეცდომას დაუშვებდა.

**— ვინმეს ტრავმა ხომ არ მიუღია?**

— საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ნაკრები ფიზიკურად კარგად არის მომზადებული.

**— მომავალ მეტოქეზე რას გვეტყვით?**

— სამოას ძლიერი ნაკრები ჰყავს, თუმცა ისინი ინგლისელებს ვერ შეედრებიან. შევეცდებით, ახლა მაინც წარმოვაჩინოთ ჩვენი ნამდვილი ძალა.

მარცხის მიუხედავად, ბიჭები ოპტიმისტურად არიან განწყობილი. ინგლისთან მატჩმა ჩვენი სუსტი ადგილები დაგვანახვა. შევეცდებით, წუნი გამოვასწოროთ და დარჩენილ თამაშებში უკეთესად გამოვიდეთ.

**— რას უნდა ველოდოთ მომავალ მატჩებში?**

— ეს ჩვენთვის პირველი მსოფლიოს თასია და დიდ გამოცდილებას შეგვძენს. ყველა ქართველ გულშემატკივარს ვპირდები, რომ დარჩენილ მატჩებს ნაკრები უკეთესად ჩაატარებს და შეეცდება, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენოს.

**არჩილ ჭუმბურიძე**

## სამხრეთ აფრიკა 72:6 ურუგვაი

სამხრეთ აფრიკა: ხრეეფი, ვილემსე, ფური, ბერი, დელპორტი (ლუფშერი), კოენი (ჰუგაარდი), იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი (კაპ) (დე კოკი), სმიტი, როსოუ (სხოლცი), ფან ნიკერკი, მეთფილდი (ბუმი), ბოთა, ბენდსი (რაუტენბახი), კუტცე (ჯ. სმიტი), სეპაკა
12ლ: იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი (3), ფან ნიკერკი, ბოთა (2), დელ პორტი, ფური, ბენტსი, როსოუ, სხოლცი, ხრეეფი; 6გ: კოენი (6), ჰუგაარდი;
ურუგვაი: პასტორე, კარდოსო (მენჩაკა), დ. აგირე (კაპ), მენდარო, იბარა, ხ. აგირე (ამარილო), კაფერა, კაპო, გუტიერესი (გრილე), ბრინონი (პონტე), ბადო, ალზუეტა, ლემონი (სტორაჩე), ლამელასი (პერესი), სანჩესი (ბერუტი)
2ს: დ. აგირე

# ვანდერ-ფანდერი

## აფრიკელებმა ურუგვაი დაგვანახეს

ჩვენი ჯგუფის მეორე შეხვედრაში ფავორიტმა სამხრეთ აფრიკამ არანაკლებ იოლად დაამარცხა მეორე აუტსაიდერი ურუგვაი, ვიდრე ინგლისმა საქართველო.

აფრიკელებმაც 12 ლელო გაუტანეს სუსტ მეტოქეს, მაგრამ მათმა დამრტყმელებმა — ლუის კოენმა და დერიკ ჰუგაარდმა უხეიროდ ურტყეს კარში და ინგლისთან შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე კიდევ უფრო აატკივეს თავი „ქურციკების" მწვრთნელს რუდი სტრაულის. სტრაული ისედაც ზედმეტად ბევრს ფიქრობს, რა დაუპირისპიროს ინგლისელებს — რომლებზეც ყველა მეტოქე ხშირად ჯარიმდება — და პირველ რიგში მათ დამრტყმელ ჯონი უილკინსონს — რომელიც ამ ჯარიმებს ქულების წვიმად აქცევს.

აფრიკელებს აკლდათ კაპიტანი კორნე კრიხე. მის არყოფნაში „ქურციკებს" ბებერი ვაცი იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი გაუძღვა და ყოჩაღადაც. 1995 წლის მსოფლიოს თასის ერთ-ერთმა გმირმა და 1999 წელსაც გაბრწყინებულმა იუსტმა სამი ლელო ხომ გაუტანა ურუგვაელებს და არც პირადი ვალდებულებები დაივიწყა — მთელ გუნდს უხვად აძლია პასები.

| C ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 1 | 0 | 0 | +78 | 5 |
| ს. აფრიკა | 1 | 0 | 0 | +66 | 5 |
| ურუგვაი | 0 | 0 | 1 | -66 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 1 | -78 | 0 |
| სამოა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

*7 ან ნაკლები ქულით წაგებას ენიჭება 1 პრემიალური ქულა; 4 ლელოს გატანას 1 პრემიალური ქულა*

# თავზეხელაღებულთა ბრიგადამ ინგლისს ოფლი ადინა

**თამაში მოთავდა თუ არა, „სუბიაკო ოვალის“ მთელი მაყურებელი ფეხზე წამოიშალა და ტაში დაუკრა საქართველოს ნაკრებს, რომელმაც ერთი ლელოც ვერ დაუდო მსოფლიოს საუკეთესო გუნდს, თავის ხაზს იქით კი თორმეტი მიიღო**



აქ არის! ქართველებთან შეტაკების შემდეგ უილ გრინვუდმა კვერცხები მოისინჯა

*ვიო ახვლედიანი*
*ლონდონიდან*

ჩვეულებრივ, ასეთ დროს ინგლისური პრესა დასცინის ხოლმე მეტოქეს და ტელერეპორტაჟიც, არტივის არხზე დაცინვით დაიწყო — ამ წვიმაში ქართველებს რომ სამოსი უსველდებათ, მეორე წყვილი თუ აქვთ მაგ ლატაკებსო. მერე გაირკვა, რომ მეორე წყვილი სამოსი თავად ინგლისელებს არ ჰქონიათ, თუმცა ეს უმნიშვნელოა, რადგან საქართველოსთვის არარავის დაუცინია, ხოლო ინგლისელთა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა ბორჯღალოსნებს თავზეხელაღებულთა ბრიგადა უწოდა.

პატივისცემა გამოსჭვივოდა ინგლისელთა კაპიტნის მარტინ ჯონსონის სიტყვებიდანაც და საერთოდაც, ყველა ინგლისელმა მორაგბემ თქვა, რომ მიუხედავად ასეთი დიდი ანგარიშით გამარჯვებისა, ისინი ეთამაშნენ მამაც და ღირსეულ გუნდს, რომელიც არ მოიღალა, არ გაჩერდა და შეღავათიც არ მისცა მეტოქეს.

ქართველებისთვის ეს იყო ისტორიული დღე, დილით მათ ეკლესიაშიც კი ილოცეს და საქართველოს რაგბის კავშირის ვიცეპრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა თქვა: ამ მატჩით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ სარაგბო ქვეყანა ვართ.

ეგებ ეს ცოტა ძნელად დაიჯერონ თბილისის ქუჩებში, რადგან ანგარიში მეტად დიდია, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა, წერს „დეილი მეილში“ პიტერ ჯეკსონი.

„ჩვენ არ ველოდით მათგან ასეთ თამაშს — განაცხადა მატჩის შემდეგ ინგლისელთა კაპიტანმა მარტინ ჯონსონმა — შევატყვეთ, რომ ფონს იოლად ვერ გავიდოდით და ტაქტიკა შევცვალეთ. ჩვენი თამაში ბოლომდე მაინც ვერ ვითამაშეთ, გუნდში ორი ტრავმირებულია.“

ქართველებმა გააოცეს ინგლისელები ბოჭვის ოსტატობით და შერკინებაში კარგი თამაშით. ინგლისელები ამ ორი ხერხის დიდოსტატებად ითვლებიან. გამოთვლით 200 შესაძლო ბოჭვიდან, ბორჯღალოსნებმა 154 წარმატებით მოახერხეს.

ინგლისმა დაატყო, რომ ჯანით თამაში სახიფათო იყო, რადგან ქართველები მეორე სალამომდე ოსტატურად შებოჭავდნენ ყველას და ბურთის მოხერხებულ გათამაშებაზე გადავიდოდნენო, აღნიშნავს „ტაიმსი“.

არცაა გასაკვირი, რადგან ქართველთა შორის ბევრი ყოფილი მოჭიდავეა, ხოლო მთავარი ამათგანი, გუნდის ყოფილი კაპიტანი და ნათლიმამა ლევან ცაბაძე ავსტრალიაში არ ჩამოვიდა, მაგრამ ქართველთა სიმამაცე საკმარისი არ აღმოჩნდა ინგლისელთათვის ლელოს დასადებად. ინგლისი კი იამაყებს, რომ ასეთ ძნელად მოსარჯულებელ გუნდთან ასე კარგად დაიწყო მსოფლიოს თასი. ქართველთა და ინგლისელთა რკენის ტელევიზიით მაცქერალი სამხრეთაფრიკელები ნამდვილად არ იქნებოდნენ კარგ ხასიათზე, რადგან მათ ულამაზოდ და მძიმედ მოუგეს ურუგვაის, კლაივ ვუდვორდის თქმით კი, საქართველო ორი ლიგით მაღლაა ურუგვაიზე და ასეთივე ანგარიშით შეუძლია მოუგოს სამხრეთამერიკელებს, როგორითაც ინგლისმა მოუგო საქართველოს.

ინგლისელებს ისიც მოეწონათ, რომ ქართველებმა ბინძური რაგბი არ გასწიეს მოედანზე და არ დაიღალნენ, რასაც ყოველ ათ წუთში ელოდნენ მათი კომენტატორები. სხვა საკითხია, რომ კლასმა, ოსტატობამ და ტაქტიკურმა ბრწყინვალებამ თავისი გაიტანა.

ყველანაირი პატივი უტეხ საქართველოს! — მორაგბეებს რომ ერთმანეთის ესმით და ერთმანეთს აფასებენ, ტყუილია. მოგებული და დაღლილი ინგლისელები იმდენს თავის კარგ თამაშზე არ ლაპარაკობდნენ, რამდენსაც იმაზე, რომ მეტოქე ღირსეულად ეთამაშა მათ.

ისინი კარგი მორაგბეები არიან და არც ჩაუთუხლიათ — თქვა ლოურენს დალაღიომ თამაშის შემდეგ, ჩვენი სიდატაკე კი არარავის უხსენებია.

ხოლო „სუბიაკო ოვალზე“ კი ყოფილა ქართველი უფლისწული, საგანგებოდ ესპანეთიდან ჩასული პერთში. სწორედ ის, რომლის წინაპრებიც რუსებმა სამშობლოდან გააძევეს — თუმცა რომელი, ვერ გამოვარკვიეთ.

---

— 11-12 ოქტომბერი —

**ირლანდია 45:17 რუმინეთი**

**ირლანდია:** 5ლ: ჰორგანი, ვუდი, კოსტელო, ჰიკი (2); 4გ: ჰემფრიზი (3), ოგარა; 4ს: ჰემფრიზი

**რუმინეთი:** 2ლ: მაფტეი, ტექნიკური; 2გ: ტოფანი, ანდრეი; 1ს: ტოფანი

**A ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | +28 | 5 |
| ავსტრალია | 1 | 0 | 0 | +16 | 4 |
| არგენტინა | 0 | 0 | 1 | -16 | 0 |
| რუმინეთი | 0 | 0 | 1 | -28 | 0 |
| ნამიბია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

**საფრანგეთი 61:18 ფიჯი**

**საფრანგეთი:** 7ლ: დომინისი (2), არინორდოკი, ჟოზიონი (3), იბანესი; 4გ: მიშალაკი; 6ს: მიშალაკი

**ფიჯი:** 2ლ: ნაევო, კაუკაუ; 1გ: ლიტლი; 2ს: ლიტლი

**შოტლანდია 32:11 იაპონია**

**შოტლანდია:** 5 ლ: პატერსონი (2), გრიმსი, ტეილორი, დენიელი; 2 გ: პატერსონი, თაუსენდი; 1ს: პატერსონი

**იაპონია:** 1ლ: ონოზავა; 2ს: ჰიროში

**B ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | +43 | 5 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 0 | +21 | 5 |
| იაპონია | 0 | 0 | 1 | -21 | 0 |
| ფიჯი | 0 | 0 | 1 | -43 | 0 |
| აშშ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

**ახალი ზელანდია 70:7 იტალია**

**ახალი ზელანდია:** 9ლ: რ. სორნი, ბ. სორნი, ჰაულეტი (2), სპენსერი (2), როკოკოკო, კარტერი, მაკდონალდი; 5გ: კარტერი; 1ს: სპენსერი

**იტალია:** 1ლ: ფილიპსი; 1გ: პიინსი

**უელსი 41:10 კანადა**

**უელსი:** 5ლ: პარკერი, კუპერი, მ. ჯონსი, შარვისი, გ. ტომასი; 5გ: ჰარისი; 2ს: ჰარისი

**კანადა:** 1ლ: ტკაჩუკი; 1გ: პრიტჩარდი; 1ს: როსი

**D ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 1 | 0 | 0 | +63 | 5 |
| უელსი | 1 | 0 | 0 | +31 | 5 |
| კანადა | 0 | 0 | 1 | -31 | 0 |
| იტალია | 0 | 0 | 1 | -63 | 0 |
| ტონგა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

*7 ან ნაკლები ქულით წაგებას ენიჭება 1 პრემიალური ქულა; 4 ლელოს გატანას 1 პრემიალური ქულა*

# უმაგას მაგალითი

## ახალი ზელანდია გუნდი-ვარსკვლავია და არა ვარსკვლავების გუნდი

*უქმეების ტურმა ანუ მსოფლიოს თასის მეორე და მესამე დღემ ისე ჩაიარა, რომ ფავორიტებმა უპრობლემოდ მოიგეს, თანაც პრემიალური ქულებიც მიითვალეს. დამარცხებულთაგან კი ვერც ერთმა აიღო საბონუსო ქულა, რომელიც 7 და ნაკლები ქულით წაგებესათვის ან ოთხი ლელოს გატანისთვის ენიჭებათ.*

უქმეების მთავარი ამბავი ახალზელანდიელთა ვიცე-კაპიტანის და კოლორიტის ტანა უმაგას ტრავმაა. დალალებიან მაორს პირველი ტაიმის შუაში გაუწყდა მუხლის ჯვარედინი მყესები და უკეთეს შემთხვევაში თასის ბოლოსკენ მომჯობინდება.

ცხადია, უმაგას ტრავმა „შავების“ მთავარ მწვრთნელს მიტჩელს საფიქრალს გაუჩენს, მაგრამ ახალი ზელანდია ულომოობას, უმერთენსობას და უქალენობას არ იმჩნევს და უმაგას არყოფნა რაღაც განსაკუთრებულს ვერაფერს დააკლებს, მით უმეტეს, ტანას ადგილზე ტომით სამოელმა მაა ნონუმ ისე გემრიელად, მატჩელს ათქმევინა, როცა ასეთი ჯეელი მარქაფში გიზის, შეგიძლია, მშვიდად იყოო. მართალია, ნონუმ 9 ლელოდან ერთიც ვერ მიითვალა, მაგრამ დაცვაში მაგრად იდგა და 5 ლელოში ლომის წილი დაიდო. ამიტომაც ნონუ მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

იტალიელების მთავარმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა ზელანდიელმა ჯონ ქირვანმა თვისტომებს მეორე შემადგენლობა დაუყენა, ძირითადი რაზმი გადამწყვეტი ჯახებისთვის შეინახა. ქირვანი ნამატჩევს კმაყოფილი იყო შედეგით — ბედნიერი ვარ, რომ „ოლ ბლექსთან“ მხოლოდ 63 ქულით წავაგეთო!

ეგზოტიკური ფიჯი ტაიმნახევარი გაუძალიანდა საფრანგეთს, რომელიც საამტურნიროდ ძაან ფორმაშია და ვინძლო მეორე რიგის ფავორიტებთან პირველებში აინაცვლოს. ფიჯიმ კი თავი იმით გამოიჩინა, რომ ფრანგებს მუშტიკრივი გაუმართა. ოკეანე თელებმა ჯერ ფრანგი 10 ნომერი მიშალაკი კინაღამ წელში გადაამტვრიეს, მერე კი რუპენი კაუკაუმ ოლივიე მანი გაუშვა ნოკდაუნში. მსაჯმა მანეც და კაკაუც ათ-ათი წუთით გაისტუმრა მოედნიდან, დისციპლინარულმა კომიტეტმა კი კაკაუს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

ირლანდია—რუმინეთი რუმინელთა მიძალებით დაიწყო და პირველ წუთებში ირლანდიელებს უმთავრესად თავის დაცვა უხდებოდათ. მაგრამ მერე და მერე კუნძულელებმა თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს და, მართალია, უმალვე არ დაულელოვებიათ, მაგრამ დევიდ ჰემფრიზის ზუსტი საჯარიმოებით სადღაც მე-20 წუთისთვის 9:0 დაწინაურდნენ.

პირველი ლელოც სწორედ ამ წუთზე გავიდა — კევინ მაგსმა მანამდე უშეცდომოდ და მჭიდედ მოსანგრავე რუმინელთა ხაზი გააპო და გვერდს მიდევნებული შეინ ჰორგანი სალელოვე პასით შეამარაგა.

ათი წუთის შემდეგ უკვე სახელიანმა ჰუკერმა, აირიშთა კაპიტანმა კიტ ვუდმაც გაილაღა. სისწრაფეაკრეფილმა, შერკინების ნახევარმცველის პიტერ სტრინგერის მიერ რაქიდან გამოტანილი ბურთი შეიფერა და უკანახაზელ რუმინელებს ჯომარდი უკანახაზელივითვე ისე ჩაუშლიგინა, ხელი არ შეუხებინებია. ჰემფრიზმა ეს ლელოც უმცდარად გარდასახა, ხოლო ტაიმის მიწურულს მორიგი საჯარიმოც შეაგდო და ირლანდიამ პირველი ნახევარი 26:0 მოიგო.

მეორე ნახევარში რუმინელები ისევ გააქტიურდნენ და შესვენებიდან ხუთი წუთის შემდეგ მსაჯმა მათ საჯარიმო ლელოც ჩაუთვალა — ჰემფრიზს ლელ-ოში უბურთო მეტოქის შებოჭ-ვა არ ეპატია. იონუც ტოფანმა ჯერ გარდასახვა შეაგდო, სამ წუთში კი საჯარიმოც მიამატა და განსხვავება 16 ქულამდე დაიყვანა.

ირლანდიელმა კლასით მათზე დაბალი მეტოქის ამგვარი გაკადნიერება ითაკილეს და კვლავ რუმინელთა ნახევარზე დამკვიდრნენ. ხანგრძლივ ალყას შედეგად დენის ჰიკის ორი და ვიქტორ კოსტელოს ერთი ლელო მოჰყვა. ჰიკის ლელოებში, რომელთაგან მეორე მისთვის სარეკორდო, 43-ე გამოდგა, ლომის წილი დაიდო გირვან დემფსიმ.

ნამატჩევს კიტ ვუდი რუმინელებს კაცურად ბურთაობასაც უქებდა და იმითაც კმაყოფილი იყო, რომ მეტოქის ამგვარმა ჰალალმა გარჯამ ირლანდიელებიც გაალაღა.

იაპონია კარგა ხანი ეომა შოტლანდიას, მაგრამ ბოლოსკენ მაინც დანებდა „მამაც გულებს“ და თანაც პრე-მიალური ქულაც აალებინა. სკოტთაგან ძალიან იყოჩაღა 14 ნომერმა კრის პატერსონმა, იაპონელი ჰიროშიტო ონოზადას ლელო კი ჯერჯერობით ტურნირის ულამაზეს მომენტად მოინათლა.

უელსი კანადასთან ორჯერ იყო უმცირესობაში, მაგრამ ჩრდილოამერიკელთა დამარცხება მაინც არ გასჭირვებია. ბრიტანელთა ახალზელანდიელმა მოძღვარმა სტივ ჰენსონმა შეაქო შეგირდები, მაგრამ დატუქსა კაპიტანი და თვისტომი კოლინ შარვისი, ვინც მუშტის ქნევაში გაერთო და სპორტული ყოჩობის არაფერი ეტყობოდა.

**ბაჩო სვანიძე**
**ლევან ქელაურაძე**



ახალზელანდიელმა მაა ნონუმ იტალიელები ისე აათხრა, ტანა უმაგას შეშურდებოდა

ფორმულა 1. 54-ე მსოფლიო ჩემპიონატი მეთექვსმეტე ეტაპი

# ექვსვარსკვლავა შუმინატორი
## შუმახერმა ფანხიო ისტორიაში დატოვა

2003 წლის 12 ოქტომბერი ზეისტორიული თარიღად ჩაიწერა ფორმულა 1-ის მატიანეში. 34 წლის გერმანელმა პილოტმა მიხაელ შუმახერმა მეექვსედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული და ლეგენდარულ არგენტინელ ხუან-მანუელ ფანხიოს 46 წლის წინანდელი, „სამეფო რბოლების" ყველაზე პრესტიჟული რეკორდი დაამხო.



REUTERS

„წითელმა ბარონმა" თავისი 13-წლიანი უბრწყინვალესი კარიერის 195-ე რბოლაში, იაპონიის დიდი პრიზის გათამაშებისას აისრულა ოცნება. ამიერიდან ერთის გარდა ყველა მთავარი საფორმულო მიღწევა მისი საკუთრებაა, რომელთა გასაუმჯობესებლად (თუკი ეს საერთოდ მოხერხდა) ახალი შუმახერი და „ფერარივით" არაჩვეულებრივი რკინის რაში იქნება აუცილებელი.

მიხაელმა თავისი უნაკლო სისხლისფერი ბედაურით ზედიზედ მეოთხედ მოიგო გვირგვინი, რაც „მაესტრო" ფანხიოს 1954-57 წლების რეკორდის გამეორებაა. კიდევ ორჯერ (1994, 1995) შუმიმ „ბენეტონით" იპირველა. ამასთან, მან ბრაზილიელ რუბენს ბარიკელოს დახმარებით ზედიზედ მეხუთედ მოუპოვა „ფერარის" გუნდური პირველობა, ანუ კონსტრუქტორთა თასი (1999 წელს შუმახერის მეწყვილე ირლანდიელი ედი ირვინი იყო).

ახლა კი 54-ე ჩემპიონატის დასკვნით რბოლაში დატრიალებულ ამბებზე. მიხაელი სარეკორდო ტიტულის მოპოვებას გამარჯვებით თუ არა, პოდიუმზე შედგომით მაინც ვარაუდობდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა. შეგახსენებთ, შუმი ცხრა ქულით უსწრებდა კიმი რაიკონენს და მისი მოგების შემთხვევაში სამერვეადგილო ერთი ქულითაც მიაღწევდა საწადელს. მაგრამ მიხაელიც და მისი ურიცხვი ფანებიც, ბუნებრივია, კინკილა ქულის კი არა, ბევრად მეტის მოპოვებას გეგმავდნენ. ვინ იფიქრებდა, თუ წლევანდელ სეზონში ექვსი, ხოლო „წითელი მზის" ქვეყანაში ხუთი ეტაპის მომგები შუმინატორისთვის ვითარება ასე გართულდებოდა.

შუმახერს პრობლემები შაბათს დაეწყო. ტრასაზე სწორედ მისი საკვალიფიკაციო გასვლისას გაწვიმდა და მართალია, თავისი უმცროსი ძმის მსგავსად გზიდან არ გადასრიალებულა, მაგრამ მეტად უხეირო, მხოლოდ მე-14 დრო აჩვენა. ამგარი ჩაფლავების შემდეგ რბოლაში გამარჯვება წარმოუდგენელი ჩანდა, ნუგეშად კი ისღა რჩებოდა, რომ საპოულე გაჯიბრება მისმა ერთგულმა დამხმარემ ბარიკელომ მოიგო,რომელიც რასაკვირველია ყოველმხრივ შეეცდებოდა რაიკონენისთვის ხელის შეშლას. შესველებულ ტრეკზე ფინელმც საკმაოდ იზარალა და მერვე სასტარტო პოზიციას დასჯერდა. რუბინიოს გვერდით პირველ რიგში კი მოკალათდა ხუან-პაბლო მონტოია, რომელსაც მშვენიერი სატურნირო მოტივაცია შერჩენოდა. მონტი მხოლოდ ქულით ჩამორჩებოდა „ყინულის კაც" კიმის და ფინიშთან თუნდაც ერთი ჩასათვლელი ადგილით მასზე წინ რომ ყოფილიყო, სამწლიან კარიერაში პირველად ვიცეჩემპიონობას გამოჰკრავდა ხელს.

მონტოიამ დასაწყისში ძალიან იყოჩაღა — პირველივე წრეზე ოსტატური მანევრით იოლად აუარა გვერდი ბარიკელოს და ისე გაქუსლა, რომ ხუთიოდ წრეში თითქმის ხუთი წამით ჩამოიტოვა. კიმიმ და მიხაელმა ამასობაში სამ-სამი ადგილით აინაცვლეს. შუმიმ მორიგი „მსხვერპლის", BAR-იდან მოხსნილ ჟაკ ვილნევის შემცვლელ ტაკუმა სატოს გასწრებისას ვერ მოზომა, „ფერარი" იაპონელის მანქანას ცხვირით აძგერა და წინა სპოილერი შესაცვლელი შეექნა. ეს ინციდენტი ბოქსებთან ახლოს მოხდა და ამდენად, ჩემპიონს დიდი დრო არ დაუკარგავს, თუმც მაინც ქარავანის კუდში აღმოჩნდა. ორიოდ წუთში ხუანის სავიცეჩემპიონო ოცნებას წერტილი დაესვა — „უილიამსს" ჰიდრავლიკამ უმტყუნა. გალიდერებული ბარიკელო კი ყოველ წრეზე თითქმის ორი წამით ზრდიდა რაიკონენთან სხვაობას. ფინელის „მაკი" მძიმე ჩანდა, რადგან ნაკლები პიტსტოპის გამო მეტი საწვავით უწევდა ბრძოლა, თანაც სუსტკურ სიგრილეში მის „მიშლენის" საბურავებს „ბრიჯსტოუნზე" ცუდად ეჭირათ ტრასა.

შუმახერი მესამე და საბოლოო საბოქსო შეჩერების შემდეგ უკვე მერვე ადგილზე იყო და თითქოს ძალიანაც აღარ უნდა გაერისკა, მაგრამ კიდევ ერთი სახიფათო მანევრი განახორციელა, რაც მისთვის შესაძლოა, რბოლიდან გამოთიშვით დასრულებულიყო: კრისტიანო და მატას გასწრებისას თავის ძმას გზა მოუჭრა და ისე მკვეთრად დაამუხრუჭა, რალფის „უილიამსი" უკნიდან ეტაკა და ორივენი ბალახში გადასრიალდნენ. პატარა შუმის ბოქსებში მოუხდა შევლა, მიხაელმა კი ფინიშამდე მშვიდობიანად მიაღწია. თუმც სულაც უქულოდ რომ დარჩენილიყო, ფენომენალურ რეკორდს მაინც დაამყარებდა, რადგან რაიკონენი ბარიკელოს მჯობნი არ იყო და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდებოდა წინ, თუ ბრაზილიელს რაიმე შეემთხვეოდა. მაგრამ რუბინიომ ბოლომდე უშეცდომოდ იარა, არც ტექნიკას უღალატია და კარიერაში მეშვიდე დიდი პრიზი მოიპოვა, ამასთან პირველად იაპონიაში.

ასე დასრულდა ბოლო ოთხ წელიწადში ყველაზე საინტერესო ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული რბოლა და იტალიელთა სიამაყე „ფერარის" და გუნდის მილიონობით ქომაგს ზარ-ზეიმიანი დღესასწაულის მშვენიერი საბაბი მიეცათ.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**იაპონიის დიდი პრიზი**
**12 ოქტომბერი. სუძუკა**
დისტანცია — 53 წრე — 307,573კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ბარიკელო (ფერარი) | 1:25.11,743 (216,6 კმ/სთ) |
| 2. | (8) | რაიკონენი (მაკლარენი) | ჩამორჩა 11,085 |
| 3. | (7) | კულთჰარდი (მაკლარენი) | 11,614 |
| 4. | (9) | ბატონი (B.A.R) | 33,106 |
| 5. | (20) | ტრული (რენო) | 34,269 |
| 6. | (13) | სატო (B.A.R) | 51,692 |
| 7. | (3) | და მატა (ტოიოტა) | 56,794 |
| 8. | (14) | მ.შუმახერი (ფერარი) | 59,487 |
| 9. | (11) | ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1.00,159 |
| 10. | (4) | პანი (ტოიოტა) | 1.01,844 |
| 11. | (6) | ვებერი (იაგუარი) | 1.11,005 |
| 12. | (19) | რ.შუმახერი (უილიამსი) | 1 წრით |
| 13. | (10) | უილსონი (იაგუარი) | 1 წრით |
| 14. | (15) | ფირმანი (ჯორდანი) | 2 წრით |
| 15. | (17) | ფერსტაპენი (მინარდი) | 2 წრით |
| 16. | (18) | კიესა (მინარდი) | 3 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (16) | ფიზიკელა (ჯორდანი) | გაიარა 32 წრე |
| (5) | ალონსო (რენო) | 18 |
| (12) | ფრენცენი (ზაუბერი) | 9 |
| (2) | მონტოია (უილიამსი) | 8 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ბარიკელო 1.31,713 (227,9 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
რ. შუმახერი 1.33,408 (223,8 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 9 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბრაზილია 6 აპრილი | სან მარინო 20 აპრილი | ესპანეთი 4 მაისი | ავსტრია 18 მაისი | მონაკო 1 ივნისი | კანადა 15 ივნისი | ევროპა 29 ივნისი | საფრანგეთი 6 ივლისი | დ.ბრიტანეთი 20 ივლისი | გერმანია 3 აგვისტო | უნგრეთი 24 აგვისტო | იტალია 14 სექტემბ. | აშშ 28 სექტემბ. | იაპონია 12 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 5 | 3 | – | 10 | 10 | 10 | 6 | 10 | 4 | 6 | 5 | 2 | 1 | 10 | 10 | 1 | 93 |
| 2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 6 | 10 | 8 | 8 | – | 8 | 8 | 3 | – | 5 | 6 | – | 8 | 5 | 8 | 8 | 91 |
| 3 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 8 | – | – | 2 | 5 | – | 10 | 6 | 8 | 8 | 8 | 10 | 6 | 8 | 3 | – | 82 |
| 4 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | – | 8 | – | 6 | 6 | 6 | 1 | 4 | 6 | 2 | 10 | – | – | 6 | – | 10 | 65 |
| 5 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | 1 | 5 | 2 | 5 | 4 | 3 | 5 | 8 | 10 | 10 | – | – | 5 | – | – | – | 58 |
| 6 ალონსო რენო, ესპანეთი | 2 | 6 | 6 | 3 | 8 | – | 4 | 5 | 5 | – | – | 5 | 10 | 1 | – | – | 55 |
| 7 კულთჰარდი მაკლარენი, დ.ბრიტანეთი | 10 | – | 5 | 4 | – | 4 | 2 | – | – | 4 | 4 | 8 | 4 | – | – | 6 | 51 |
| 8 ტრული რენო, იტალია | 4 | 4 | 1 | – | – | 1 | 3 | – | – | – | 3 | 6 | 2 | – | 5 | 4 | 33 |
| 9 ბატონი B.A.R., დ.ბრიტანეთი | – | 2 | – | 1 | – | 5 | – | – | 2 | – | 1 | 1 | – | – | – | 5 | 17 |
| 10 ვებერი იაგუარი, ავსტრალია | – | – | – | – | 2 | 2 | – | 2 | 3 | 3 | – | – | 3 | 2 | – | – | 17 |

ფრენცენი — 13; ფიზიკელა — 12; და მატა — 10; ჰაიდფელდი, პანი, ვილნევი (B.A.R) — 6; ჯენე (უილიამსი) — 4; სატო — 3; ფირმანი, უილსონი — 1 ქულა

| | ავსტრალია | მალაიზია | ბრაზილია | სან მარინო | ესპანეთი | ავსტრია | მონაკო | კანადა | ევროპა | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | იტალია | აშშ | იაპონია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 5 | 11 | – | 16 | 16 | 16 | 7 | 14 | 10 | 8 | 15 | 2 | 1 | 16 | 10 | 11 | 158 |
| 2 უილიამსი | 9 | 5 | 2 | 7 | 9 | 3 | 15 | 14 | 18 | 18 | 8 | 10 | 11 | 12 | 3 | – | 144 |
| 3 მაკლარენი | 16 | 10 | 13 | 12 | – | 12 | 10 | 3 | – | 9 | 10 | 8 | 12 | 5 | 8 | 14 | 142 |
| 4 რენო | 6 | 10 | 7 | 3 | 8 | 1 | 7 | 5 | 5 | – | 3 | 11 | 12 | 1 | 5 | 4 | 88 |
| 5 B.A.R. | – | 2 | 3 | 1 | – | 5 | – | – | 2 | – | 1 | 1 | – | 3 | – | 8 | 26 |

ზაუბერი — 19, იაგუარი — 18, ტოიოტა — 16, ჯორდანი — 13 ქულა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge